პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 187 (11191)

პარასკევი, 15 აგვისტო, 1958 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

მივცეთ ქვეყანას მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი! — აფხაზეთის მეჩაიეთა მოწოდებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა (1-ლი გვერდი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა და მოსაბურო სუძუკიმ წერილები გაუგზავნეს ერთმანეთს (1-ლი გვერდი).

ნ. ს. ხრუშჩოვისა და კ. ე. ვოროშილოვის დეპეშა ამხანაგებს კიმ ირ სენსა და ცოი ენ გენს (1-ლი გვერდი).

გ. ძოძუაშვილი. — კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის (მე-2 გვერდი).

2.000.000 ტონა სილოსისათვის 1958 წელს! (მე-2 გვერდი).

გ. ქავთარაძე. — იოდის მოპოვების პერსპექტივები საქართველოში (მე-2 გვერდი).

მ. ინასარიძე. — მოხუცის ნატვრა (მე-2 გვერდი).

გაზეთების ფურცლებზე (მე-2 გვერდი).

ხ. ბერულავა. — ჩვენი ბავშვებისათვის, ჩვენი ახალგაზრდობისათვის (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — **ი. ბერიშვილი.** — „ტექნიკური ტერმინოლოგია“ (მე-3 გვერდი).

ე. მამალაძე. — „თანამედროვე ფაბრიკა-ნაგებ ბეღლავი“ (მე-3 გვერდი).

ზ. ჯანჯღავა. — [illegible] საქართველოში (მე-3 გვერდი).

კორეის განთავისუფლების მე-13 წლისთავისა გამო. — **კ. გიორგაძე.** — სოციალიზმის მშენებლობის გზით (მე-4 გვერდი).

უცხოეთისა და სპორტული ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მივცეთ ქვეყანას მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი!

★ ★ ★ ★ ★

მხარი დავუჭიროთ ძვირფას პატრიოტულ თაოსნობას

ყარგი ამბები მოდის ჩაის ფოთლის კრეფის ფრონტიდან. ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონებში, სადაც ფოთლის კრეფა ფართოდ არის გაჩაღებული, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თითქმის ყველგან ფოთლის უხვ მოსავალს იღებენ. ჰექტარზე საშუალოდ 3.000—4.000 კილოგრამ ფოთოლს კრეფენ აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, მახარაძისა და ზუგდიდის რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

დღითიდღე სულ უფრო ძლიერდება ჩაის კრეფის სამუშაოთა ტემპი. მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში 1958 წლის 10 აგვისტოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებული იყო 80,6 პროცენტით. ამ რიცხვისათვის ხარისხოვანი ფოთოლი დამზადებული იყო 20.247 ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე თარიღისათვის. ჩაის კრეფის საქმეში თვალსაჩინო წარმატებები აქვთ მოპოვებული აფხაზეთის მეჩაიეებს, რომლებმაც 10 აგვისტოსათვის მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 17.024,3 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, 4.266 ტონით მეტი, ვიდრე 1957 წლის იმავე პერიოდში. ფოთლის კრეფის გეგმა სეზონის პირველ სამ თვეში (მაისი, ივნისი, ივლისი) მათ 18,4 პროცენტის გადამეტებით შეასრულეს. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს პირველი ხარისხის ჩაის კრეფის გეგმაც.

ხელსაყრელმა ამინდებმა საუცხოო პირობები შექმნა ჩაის ბუჩქის ვეგეტაციისათვის, რამაც უფრო გააფართოვა ფოთლის კრეფის სამუშაოთა მოცულობა. ეს საშუალებას აძლევს მეჩაიეობის რაიონების მშრომელებს მოკრიფონ და გეგმის გადამეტებით მისცენ სამშობლოს ათასობით ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ფოთლის კარგ მოსავალთან დაკავშირებით ჩვენი რესპუბლიკის ბევრი მეჩაიე გადასინჯავს თავის ვალდებულებებს, პირობას იძლევა მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩაბაროს გაცილებით მეტი ნედლეული, ვიდრე წინათ იყო ნავარაუდევი. ამ შესანიშნავი პატრიოტული მოძრაობის ინიციატორებად ჩვენს რესპუბლიკაში გამოვიდნენ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეჩაიეები. გამოიანგარიშეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, მათ იკისრეს ახალი ვალდებულებები.

„ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ, — ნათქვამია აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვაში, რომელიც „კომუნისტის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა, — სეზონის დამთავრებამდე წლიური გეგმის გადამეტებით მოვკრიფოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 3.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, აქედან გალის რაიონის კოლმეურნეობები კისრულობენ გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 1.400 ტონა, ოჩამჩირის რაიონისა — 900 ტონა, გუდაუთის რაიონისა — 400 ტონა და გულრიფშის რაიონისა — 300 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი“.

გამოაქვეყნეს რა გადიდებული ვალდებულებანი, აფხაზეთის მეჩაიეებმა მოუწოდეს ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონების მშრომელებს — კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს მიბაძონ მათს მაგალითს.

რადიომ გაზეთებზე ადრე მოუტანა მეჩაიეობის რაიონების მშრომელებს ცნობა აფხაზეთის მეჩაიეთა ძვირფასი პატრიოტული თაოსნობის შესახებ. აჭარაში, გურიის, სამეგრელოს და იმერეთის რაიონებში ფართოდ ეხმაურებიან აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიმართვას, საქმიანად უპასუხებენ მას და გადიდებულ ვალდებულებებსაც კისრულობენ.

ჩაის ფოთლის კრეფის ამ დაძაბულ დღეებში ამინდი ხელს უწყობს დუყის ზრდა-განვითარებას. ფოთლის კრეფის ზრდასთან ერთად იზრდება ნედლეულის ნაკადი ჩაის ფაბრიკებისაკენ. ტყიბულისა და ჭიათურის რაიონების მეჩაიეებმა ჩვენს რესპუბლიკაში პირველებმა შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. სხვა რაიონების მეჩაიეები აძლიერებენ კრეფას და ძვირფასი ნედლეულის სახელმწიფოსათვის ჩაბარებას. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებებიც, რაც სწრაფად უნდა გამოსწორდეს.

ეჭვი არ არის, რომ აფხაზეთის მეჩაიეთა მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურებიან და მხარს დაუჭერენ საქართველოს მეჩაიეობის რაიონების მშრომელები.

ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მოაწყონ აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვის საქმიანი განხილვა. საჭიროა საქმე ისე მოეწყოს, რომ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შემუშავებულ იქნას და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებანი ყველა არსებული რეზერვის გამოსაყენებლად, ფოთლის კრეფის ტემპის გასაძლიერებლად, ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესასრულებლად.

აფხაზეთის მეჩაიეთა მოწოდება სოციალისტური შეჯიბრების ახალ მძლავრ აზვირთებას გამოიწვევს სოფლის მეურნეობის მშრომელთა შორის. ამოცანა ის არის, რომ ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ ამ დიდ პატრიოტულ მოძრაობას და მთელი ძალები დარაზმონ ჩაის ფოთლის უდანაკარგოდ აღებისა და ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე პირნათლად შესრულებისათვის.

მივცეთ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი! — ასეთია საბრძოლო ამოცანა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო ფოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო ფოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი ან მეტი:

1. **ადამიანს** სარპეტ ნერსესის ასულს — დიასახლისს, ბოგდანოვკის რაიონის სოფელი მამცვარა.
2. **აფხაზავას** ნურიფეტ მევლუდის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელი ღალენა.
3. **ვანციანს** არცვიკ მარტიროსის ასულს — დიასახლისს, ბოგდანოვკის რაიონის სოფელი სათხე.
4. **გაგუას** ვალენტინა ანტონის ასულს — კოლმეურნეს, გეგეჭკორის რაიონის სოფელი აბედათი.
5. **დავითაძეს** აიშე ახმედის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ შუახევის რაიონის სოფელი დაბაძველი.
6. **მაკარაძეს** ნარგული თემერის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელი ჩაისუბანი.
7. **პეტროსიანს** სულთან მინასის ასულს — კოლმეურნეს, კასპის რაიონის სოფელი დიესი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე
ი. აბდულაევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1958 წ. 14 აგვისტო.

აფხაზეთის მეჩაიეთა მოწოდებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა

სწრაფი ტემპით კრეფენ ჩაის ფოთოლს წყალტუბოს რაიონის სოფელ გუმბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. მკრეფავმა ნ. გურეშიძემ უკვე მოკრიფა და ჩააბარა 2.800 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.350 კილოგრამისა.

სოხუმის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მოწინავე მეჩაიემ თინა გადელიამ საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. ახალგაზრდა მეჩაიე თ. გადელია 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციას უვლის. გეგმით 5 ათასი კილოგრამი უნდა მოკრიფოს, უკვე მოკრეფილი აქვს 3.200 კილოგრამი ფოთოლი.

სურათებზე: ჩაის მკრეფავები ნ. გურეშიძე (მარცხნივ) და თ. გადელია (წრეში, მარჯვნივ) მუშაობის დროს.

ფოტო **გ. გოგოხიანი** და **პ. ლუცენკოსი.**

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს

გუშინ ცხაკაიას რაიონის მშრომელებმა რადიოთი მოისმინეს აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვა საქართველოს მეჩაიეობის რაიონების კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისადმი. ამ მიმართვამ რაიონის მშრომელებში მხურვალე გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა.

სოფელ უშფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. გოგინავამ ამასთან დაკავშირებით განაცხადა:

— ჩვენმა კოლმეურნეობამ ჩაის ფოთლის კრეფის მაისის, ივნისისა და ივლისის გეგმა 107,4 პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 182.000 კილოგრამიდან დღემდე მოკრეფილი გვაქვს 150.340 კილოგრამი ფოთოლი, რაც სახელმწიფოს ჩავაბარეთ. აფხაზეთის მეჩაიეთა მოწოდების პასუხად ვკისრულობთ 30 აგვისტომდე შევასრულოთ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, ხოლო გეგმის გადამეტებით მოვკრიფოთ და სამშობლოს მივცეთ 20.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

ამ კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიეებმა თამარ გაბელიამ, ნანული ყურაშვილმა, შურა გაბელიამ, ჯულიეტა ბოკუჩავამ, გული ქვარცხავამ და სხვებმა აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვის პასუხად გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

ფოცხოს სტალინის სახელობის არტელის წევრების ვალდებულებაა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 20.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. აფხაზეთის მეჩაიეთა მოწოდებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი და გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ამავე კოლმეურნეობის მე-4 და მე-9 ბრიგადების წევრებმა, აგრეთვე მოწინავე მეჩაიეებმა ნანუშა დადუნაშვილმა, გული სანაიამ, ნელი მალანიამ და სხვებმა.

აფხაზეთის მეჩაიეთა მოწოდებას რომ გაეცნო, სოფელ ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ნოვატორმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ტატიანა ტყებუჩავამ ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 9.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი; უშფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, სოციალისტური შრომის გმირმა თამარ ზარანდიამ იკისრა ვადაზე ადრე შეასრულოს წლიური დავალება და გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 4.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ვ. წირღვავა.

ზუგდიდელთა პირობაა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 2.000 ტონა ჩაი

ჩვენი რაიონის მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთ წამყვან დარგად ითვლება ჩაი, რომელიც რაიონის ყველა 33 კოლმეურნეობას და ოთხ ჩაის საბჭოთა მეურნეობას მოჰყავს. საკმარისია ითქვას, რომ რაიონის კოლმეურნეობების მიერ მიღებული მთელი ფულადი შემოსავლის 85 პროცენტი მარტო ჩაის კულტურიდან არის მიღებული.

წელს რაიონის მშრომელებმა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებაზე ფოთლის მოსავლიანობის გადიდების საქმეში ახალი ვალდებულება იკისრეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ რესპუბლიკაში ჩაის დარგში ერთ-ერთ წამყვან რაიონთან — მახარაძის რაიონთან.

ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად რაიონში ფოთლის კრეფის დაწყებიდანვე კარგად დაიწყო მუშაობა. რაც მთავარია, პრაქტიკაში დაინერგა ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფა ყოველგვარ ამინდში. შედეგიც კარგია. 15 აგვისტოსათვის რაიონში ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული იყო 84 პროცენტით. ეს შარშანდელთან შედარებით 2.700 ტონით მეტია.

ცალკეულ კოლმეურნეობათა შორის დაწინაურდა სოფელ რუხის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. როგავა). აქ 300 ჰექტარი ჩაის ფართობი აქვთ. ახლა აქ აფხაზეთის მეჩაიეთა მოწოდების პასუხად იმისათვის იბრძვიან, რომ წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 250 ტონა ფოთოლი.

ფოთლის უხვ მოსავალს იღებენ აგრეთვე სოფელ ინგირის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ წელს პირობა დადეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 150 ტონა ჩაი, რიყის კოლმეურნეობამ — 150 ტონა, ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ — 130 ტონა, ოდიშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ — 120 ტონა, ორჯონიკიძის კოლმეურნეობამ — 100 ტონა და სხვ.

ზუგდიდის რაიონის მშრომელები გაეცნენ აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვას საქართველოს სსრ მეჩაიეობის რაიონების კოლმეურნეობებისადმი, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი და გადაწყვიტეს ფოთლის კრეფის სეზონის დამთავრებამდე წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 2.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 3.200 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად შარშან მიღებული 2.400 კილოგრამისა. ამჟამად ჩაის პლანტაციებში ყოველდღიურად შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული, იყენებენ ყველა რეზერვს იმისათვის, რომ ზუგდიდელებმა პირობა საქმით გაამართლონ.

ა. ჭეჭია,
სოციალისტური შრომის გმირი, ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსი.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულება

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და ფოთლის განუწყვეტელი კრეფის შედეგად სიდის (გალის რაიონი) ჩაის საბჭოთა მეურნეობამ წარმატებით გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება. ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ვადაზე ადრე 100,2 პროცენტით შეასრულა.

მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა სეზონის დამთავრებამდე მოკრიფოს და სახელმწიფოს წლიური გეგმის გადამეტებით ჩააბაროს 150 ტონა ჩაის ნედლეული.

კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს

ამხანაგ კიმ ირ სენს

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **ამხანაგ ცოი ენ გენს**

ფხენიანი

კორეის განთავისუფლების მე-13 წლისთავთან დაკავშირებით გიგზავნით თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, და თქვენი სახით მოძმე კორეელ ხალხს გულითად მოლოცვებსა და საუკეთესო სურვილებს.

საბჭოთა ხალხი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა კორეის შრომის პარტიის და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელობით იაპონიის კოლონიური მონობისაგან თავიანთი სამშობლოს განთავისუფლების შემდეგ, კორეის ხელოვნური გათიშვისა და იმპერიალისტური ძალების ზიერ ატეხილი ომის მძიმე შედეგების მიუხედავად, მოიპოვეს დიდი წარმატებანი ეკონომიკის აღმავლობაში, მშრომელთა ეროვნული კულტურის განვითარებასა და მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცედ მიდის სოციალიზმის გზით. საბჭოთა ხალხი უსურვებს კორეელ ხალხს შემდგომ წარმატებებს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, თავისი სამშობლოს მშვიდობიან გაერთიანებაში.

დღითიდღე ვითარდება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა. ამ თანამშრომლობით პოულობს თავის მკაფიო გამოხატულებას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპები.

გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა კავშირისა და კორეის ურღვევი მეგობრობა კვლავაც განვითარდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, სოციალიზმის ბანაკის — მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ბურჯის შემდგომი განმტკიცების ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი
ნ. ხრუშჩოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ულბრიხტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი

მოსკოვი, კრემლი.
1958 წლის 14 აგვისტო.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და მოსაბურო სუძუკიმ წერილები გაუგზავნეს ერთმანეთს

იაპონიის სოციალისტური პარტიის აღმასკომის თავმჯდომარე მოსაბურო სუძუკი თავის 28 ივლისის წერილში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი ეხება შუა აღმოსავლეთის ამბებს. შეშფოთებას გამოთქვამს რა უცხოეთის ინტერვენციის საფრთხის გამო, რაც არაბთა ქვეყნების სუვერენიტეტს მოელის, მოსაბურო სუძუკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იაპონიის სოციალისტური პარტია გმობს დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს იორდანიასა და ლიბანში ჯარების გაგზავნის გამო. ჩვენ მოვითხოვთ, ნათქვამია სუძუკის წერილში, რომ ორივე მთავრობამ გაიყვანოს თავიანთი ჯარები დაუყოვნებლივ და რაიმე პირობის დაუთქმელად.

საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი საპასუხო წერილში აცხადებს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ერთგულმა საბჭოთა კავშირმა გადაჭრით დაგმო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობათა აგრესიული მოქმედება, რომლებმაც ამ ქვეყნების მონოპოლისტური წრეების ანგარებითი ინტერესებისათვის შეიარაღებული ინტერვენცია მოაწყეს ახლო და შუა აღმოსავლეთში.

აღნიშნავს რა, რომ ამ მთავრობებს არა სურთ ხელი აიღონ სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის კურსზე, რომ ყველავ ადიდებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს ახლო და შუა აღმოსავლეთში, ისწრაფვიან რა შემდგომ გააფართოონ აგრესია, ნ. ს. ხრუშჩოვი ხაზგასმით ამბობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებს პირდაპირი პასუხისმგებლობა იკისრებათ ხუთი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის ჩაშლის გამო.

მშვიდობის საქმისათვის ფრრიად საშიში იქნება, ნათქვამია შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში, რომ აგრესიულმა ძალებმა მოახერხონ ხალხთა სიფხიზლის მიძინება. ამიტომ საჭიროა, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხმა ბოლომდე ამხილოს და დაგმოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეების აგრესიული მოქმედება.

წერილში ნათქვამია: „ახლო და შუა აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აგრესიული მოქმედებით შექმნილი საშიში მდგომარეობა ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ სანამ ბოლო არ მოეღება „ცივ ომსა“ და გამალებულ შეიარაღებას, სანამ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები უარს ამბობენ დათანხმდნენ იმაზე, რომ მშვიდობიანად მოწესრიგდეს მომწიფებული საერთაშორისო პრობლემები, კაცობრიობა ვერ დარწმუნდება, რომ ახალი ომის საფრთხე აღმოფხვრილია“.

ნ. ს. ხრუშჩოვი იმედს გამოთქვამს, რომ ბოლოს და ბოლოს საღი აზრი გაიმარჯვებს და უმაღლესი დონის თათბირი, რომლის მოწვევასაც ყველა ხალხი მოელის, შექმნის სახელმწიფოთა ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების, მთელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების პირობებს.

მაღალ შეფასებას აძლევს რა იაპონელი ხალხის ღონისძიებებს მის ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ნ. ს. ხრუშჩოვი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი ყველა სოციალისტურ ქვეყანასა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად მტკიცედ იბრძოლებს იმისათვის, რომ შეწყდეს ამერიკა-ინგლისის აგრესია ახლო და შუა აღმოსავლეთში, შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა და შენარჩუნებულ იქნას მშვიდობა. (საკდესი).

მრავალათასიანი მიტინგი სმოლენსკში

სმოლენსკი, 13 აგვისტო (საკდესი). დღეს აქ გაიმართა მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ოლქისათვის ლენინის ორდენის გადაცემას.

მიტინგი გახსნა სმოლენსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ტ. გნედოვმა. მან სიტყვა მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სმოლენსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანს პ. ი. დორონინს, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას ზრუნვისათვის და ოლქის მშრომელთა მუშაობის მაღალი შეფასებისათვის.

მოედანზე დიდხანს გაისმის მქუხარე ტაში, როცა მიკროფონთან მიდის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა გულთბილად მიულოცა ოლქის მშრომელებს მაღალი ჯილდო და ახალი წარმატებანი უსურვა ცხოვრებასა და შრომაში.

კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, ისევე როგორც პარტიისა და მთავრობის სხვა ღონისძიებებმა, კიდევ უფრო განამტკიცა კოლმეურნეობები ორგანიზაციულად და მეურნეობრივად, ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონის ამაღლებას.

როგორც ყველგან, ქუთაისის რაიონშიც იარაღ-მანქანების კოლმეურნეობათა ხელში გადასვლამ უზრუნველყო ყველა სახის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულება, შექმნა საუკეთესო პირობები წელს ყველა კულტურის უხვი და მყარი მოსავლის მისაღებად.

რაიონში წარმატებით მიმდინარეობს ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა და სახელმწიფოსათვის ჩაბარება. მნიშვნელოვნად გაიზარდა რძის, ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება. კარგი პირი უჩანს ხილის, ბოსტნეულის, სიმინდის, ყურძნის მოსავალს.

ყოველივე ამას ხელი შეუწყო იმან, რომ რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, სოფლის მეურნეობის მშრომელთა დიდი ნაწილი ჩაბმულია საკოლმეურნეო წარმოებაში, შემცირდა ცუღლუტთა რიცხვი.

სოფლების გოდოგნის, ქვედა სიმონეთის, ოფშკვითის, კვახჭირის და სხვა კოლმეურნეობებში ზუსტად ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ყველა მოთხოვნას, წესიერად აწარმოებენ შრომადღეებზე ყოველთვიური ავანსის გაცემას, თანმიმდევრულად იბრძვიან დებიტორული დავალიანების აღსაკვეთად, ყველა პირობას უქმნიან ჩვილბავშვიან ქალებს კოლმეურნეობაში სამუშაოდ. აღსანიშნავია, რომ რაიონის მეჩაიეობის კოლმეურნეობებში ყოველ ერთ ჰექტარამ ჩაის ფოთოლზე კოლმეურნეებს დამატებით ეძლევათ ერთი მანეთი ფულად. აღნიშნულ კოლმეურნეობებში მოწესრიგებულია გამომუშავებული შრომადღეების აღრიცხვა.

მაგრამ ამასთან ერთად რაიონის ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო არტელში შრომა მოუწესრიგებელია, კოლმეურნეთა საგრძნობ ნაწილს გამომუშავებული არა აქვს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი, წესიერად არ ხდება შრომადღეების აღრიცხვა, უარადღება არ ექცევა საბავშვო დაწესებულებების შექმნას, რის გამო კოლმეურნე ქალთა დიდი ნაწილი კოლმეურნეობაში ვერ მუშაობს.

სწორედ ამ ნაკლოვანებებზე იქნა გამახვილებული ყურადღება ამ დღეებში გამართულ სოფლის მეურნეობის მუშაკთა რაიონულ თათბირზე, რომელიც კოლმეურნეობებში შრომის მოწესრიგების, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და აღრიცხვა-ანგარიშსწორების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხილვას მიეძღვნა.

მომხსენებელმა — პარტიის ქუთაისის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. მ. ბიბილაშვილმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ანალიზი გაუკეთეს იმ მიზეზებს, რომლებიც იწვევენ შრომის დისციპლინის დარღვევას, კოლმეურნეთა მიერ საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობისათვის თავის არიდებას, დებიტორული დავალიანების წარმოშობას, აღრიცხვის მოუწესრიგებლობას.

როგორც თათბირზე აღინიშნა, ნაკლოვანებანი შრომის ორგანიზაციის საქმეში, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია კოლმეურნეობათა გამგეობების, სარევიზიო კომისიების და პირველადი პარტიული ორგანიზაციების სუსტი კონტროლით, იმით, რომ ზოგან- დროულ ახსნა - განმარტებითს მუშაობას და ორგანიზაციულ ღონისძიებებს არ ახორციელებენ ცუღლუტებისა და უქნარების მიმართ, არ უქმნიან ნორმალურ სამუშაო პირობებს ჩვილბავშვიან ქალებს და მეცხოველეობის დარგის მუშაკებს, სწორად არ აწარმოებენ გამომუშავებული შრომადღეების აღრიცხვასა და ყოველთვიური ავანსის გაცემას. თუ არა ამით, სხვით არ შეიძლება აიხსნას ის, რომ სოფელ ბარდუბნის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში 372 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან პირველი პერიოდში შრომადღეების მინიმუმი არ გამოუმუშავებია 88-ს, ხოლო სამუშაოებში მონაწილეობა სრულებით არ მიუღია 52 კოლმეურნეს. ანალოგიური მდგომარეობაა ზარათის, რიონის, საჩხეურის, დღნორისის, საყულიის და ტყაჩირის კოლმეურნეობებში.

ამ და სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელებში ხშირად ავანსები იცემა გამომუშავებული შრომადღეების გაუთვალისწინებლად, რის გამო სამეურნეო წლის დასასრულს ზოგიერთ კოლმეურნეზე ზედმეტად ირიცხება თანხები, როცა ნაწილს სრულებით არა აქვს მიღებული შრომადღეებზე კუთვნილი ფული. საყულიის, მექვენის, ნაგარევის, ოფურჩხეთის და სხვა კოლმეურნეობებში დებიტორული დავალიანება შემცირების ნაცვლად, პირიქით კიდევაც გაიზარდა. საბავშვო დაწესებულებების მუშაობის მოუწესრიგებლობით უნდა აიხსნას ის, რომ ზარათის კოლმეურნეობაში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია 57 კოლმეურნე ქალს, რიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობაში — 32-ს, ტყაჩირის კოლმეურნეობაში — 24 ქალს.

— ჩვენთან, — თქვა სოფელ ქვედა სიმონეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. გურესაშვილმა, — შრომადღეების გამომუშავების ნორმების დაწესებისას ითვალისწინებთ თვითეული კოლმეურნის უნარსა და შესაძლებლობას. მაგალითად, ქალებს, რომლებსაც ყველა შესაძლებლობა აქვთ კოლმეურნეობაში იმუშაონ, დავუწესეთ 80 შრომადღე, მაგრამ თუ ქალს ჰყავს სკოლის ასაკის სამი ბავშვი, მაშინ მან წლიურად 70 შრომადღე უნდა გამოიმუშაოს, ხოლო თუ მეტი ბავშვი ჰყავს და ამასთან ქმარი კოლმეურნეობაში ნაყოფიერად მუშაობს, — 50 შრომადღე.

თათბირის მონაწილეთა გამოსვლებიდან გამოირკვა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში შრომაში მონაწილეობას არ იღებენ ადმინისტრაციულ -სამმართველო აპარატის მუშაკების — თავმჯდომარეების, ბრიგადირების, მეცხოველეობის ფერმებისა და აღრიცხვის მუშაკების ოჯახთა წევრები.

თათბირმა მიიღო ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს რაიონის კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, საზოგადოებრივ შრომაში კოლმეურნეთა კიდევ უფრო აქტიურად ჩაბმას.

გ. ძოძუაშვილი.

რუსთაველის პროსპექტზე პიონერთა სასახლესთან კვირადღეობით . ეწყობა წიგნის ბაზარი, რომელშიც მონაწილეობას იღებს თბილისის რამდენიმე წიგნის მაღაზია. აქ მყიდველები იძენენ მხატვრული, ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის ახალ გამოცემებს.

სურათზე: წიგნის ბაზრის დახლთან.

ფოტო ი. დვალისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ლექციური პროპაგანდის საკითხი საქალაქო კომიტეტის ბიუროზე

ფოთი. (საკ. კორ.). ამას წინათ პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა ქალაქში ლექციური პროპაგანდის მდგომარეობის საკითხი. როგორც ბიუროზე აღინიშნა, წელს ერთგვარად გაუმჯობესდა ლექციური პროპაგანდა ქალაქის საწარმოდაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში და ახალმშენებლობებზე. გაიზარდა ლექციების თემატიკა, გაუმჯობესდა მათი ხარისხი.

მაგრამ აგრეთვე აღინიშნა, რომ მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორიც არის ქიმია, ბიოლოგია, კონკრეტული ეკონომიკის საკითხები, მცირე რაოდენობით იკითხება ლექციები. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია ლექციური პროპაგანდის მდგომარეობა სოფლად. სუსტად მუშაობენ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საქალაქო განყოფილების სოფლის მეურნეობის სექცია და ლექტორთა ჭალადიდის სასოფლო ჯგუფი.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ დასახა ქმედითი ღონისძიებანი ლექციური პროპაგანდის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ქარლ მარქსის ძეგლი მოსკოვში

მოსკოვის ცენტრში სვერდლოვის მოედანზე სკვერში დაიდგმება დიდი მოაზროვნის, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსის დიდებული ძეგლი. შეჯამებულია სრულიად საკავშირო ღია კონკურსის შედეგები კ. მარქსის ძეგლის საუკეთესო პროექტზე. სულ წარმოდგენილი იყო დევიზებით 52 პროექტი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან. გუშინ კონკურსის ჟიურიმ გახსნა კონვერტები ავტორთა სახელებით, რომლებმაც ნაშრომები წარმოადგინეს.

პირველი პრემია მიეკუთვნა ავტორებს, რომლებმაც პროექტი წარმოადგინეს დევიზით — „წითელი ნამგალი და ურო“—სკულპტორს ლ. ე. კერბელს, არქიტექტორებს რ. ა. ბეგუნცს, ნ. ა. კოვალჩუკს, ვ. გ. მაკარევიჩსა და ბ. მ. მორგულისს (მოსკოვი). პროექტის ავტორთა ჩანაფიქრით კარლ მარქსის ფიგურა გამოკვეთილი იქნება რუხი გრანიტის ლოდიდან და ერთ მთლიანს შეადგენს კვარცხლბეკთან. ძეგლის სიმაღლეა 8 მეტრი.

ორი მესამე პრემია მიეკუთვნათ პროექტების ავტორებს დევიზებით „მანიფესტი“ — სკულპტორს ლ. დ. მურავინს (მოსკოვი) და „ურო წითელ წრეში“ — სკულპტორს ვ. ი. ზნობას და არქიტექტორს ი. ს. ვანკოს (კიევი).

მიკუთვნებულია აგრეთვე ექვსი წასახალისებელი პრემია. (საკდესი).

უნივერსალური მაღაზია

ქოგულეთი. (საკ. კორ.). დღითიდღე მშვენდება ქალაქი-კურორტი ქობულეთი. მის სწორ და ფართო ქუჩებს ყოველწლიურად ემატება ახალი საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობანი.

ამ დღეებში აქ გაიხსნა უნივერსალური მაღაზია, რომლის პირველ სართულში მოთავსებულია სამეურნეო-საოჯახო, კულტურულ-მუსიკალური, საკანცელარიო საქონლისა და წიგნების სექციები, ხოლო მეორეზე — სამრეწველო საქონლის, პარფიუმერიის, გალანტერიის, ტრიკოტაჟის, შეკერილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის, აგრეთვე ფართლის სექციები.

მაღაზიის გახსნის დღეს მოსახლეობას მიეყიდა დიდძალი სამრეწველო და კულტურული საქონელი, მათ შორის: მაცივრები, საკერავი მანქანები, რადიომიმღებები, ქსოვილები, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, კულტსაქონელი და სხვა, სულ 198 ათასი მანეთისა.

50 ვაგონი კონსერვი

გორი. (საკ. კორ.). რკინიგზის გორის სატვირთო სადგურიდან გავიდა კონსერვებით დატვირთული კიდევ ერთი ვაგონი. ეს ორმოცდამეათე ვაგონია, რომელიც იგზავნება ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ცენტრებსა და დიდ ქალაქებში ახალი მოსავლის ხილიდან დამზადებული კონსერვებით.

კონსერვები გაიგზავნა მოსკოვში, ლენინგრადში, ტომსკში, ბარნაულში, ჩიტაში, ნოვოსიბირსკსა და სხვა ქალაქებში.

ოდის მოპოვების პერსპექტივები საქართველოში

ოდის სამრეწველო მოპოვების ერთ-ერთი მთავარი ბაზაა ნავთობის თანამგზავრი წყლები. ნავთობის წყლებიდან ოდის მოპოვებისათვის აუცილებელია, რომ ერთი ლიტრი წყალი შეიცავდეს ათეული მილიგრამ ოდს, ამასთან ფენებში დიდი იყოს ოდიანი წყლის მარაგი.

ჩვენში ოდი გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ნავთობის საბადოების წყლებში. აღმოსავლეთ საქართველოში ოდის გავრცელების რაიონებს წარმოადგენენ მირზაანი, პატარა შირაქი, იორი. შირაქის წყლები ოდს საკმაო რაოდენობით შეიცავს, აკმაყოფილებს სამრეწველო მოპოვების პირობას, მაგრამ თვითონ ნავთობის თანამგზავრი მიწისქვეშა წყლების ძალიან მცირე დებიტი ღრმა ჭაბურღილებში არ იძლევა იმის საფუძველს, რომ აქ წყლების მარაგი დიდი იყოს.

გაცილებით დიდია ოდის რაოდენობა ე. წ. საარმატის ნავთობის თანამგზავრ წყლებში. აღმოსავლეთ საქართველოში საარმატის ოდიანი წყლების გავრცელების რაიონებია ტარიბანის, ივრის, მლაშისხევის, ბაიდას, კილაკუპრას ნავთობის საბადოები და ტალახიანი ვულკანების წყლიერები. სამწუხაროდ, ამ რაიონებში მიწისქვეშა წყლების დებიტის შესახებ ძალიან ძუნწი ცნობები მოგვეპოვება, რაც არ იძლევა საშუალებას გადაჭრით ვილაპარაკოთ ამ რაიონებში ოდის სამრეწველო მოპოვების პერსპექტიულობაზე.

ოდის შემცველობით მდიდარია ნორიოს ნავთობის საბადო. ნავთობის საექსპლოატაციო ჭაბურღილებიდან მიღებული წყლების მაღალი დებიტი მიგვითითებს იმაზე, რომ მიწის წიაღში წყლების დიდი მარაგი.

წინასწარი მონაცემებით ნორიოს ნავთობის საბადოს მიწისქვეშა წყლები შეიძლება გამოყენებულ იქნას ოდის სამრეწველო მოპოვებისათვის. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს კავთისხევის ნავთობიანი წყლებიც.

ამრიგად, ნორიოსა და კავთისხევის რაიონების ნავთობის თანამგზავრი წყლები ნედლეულის კარგ ბაზას წარმოადგენს ოდის სამრეწველო მოპოვებისათვის. განსაკუთრებით პერსპექტიულია ნორიოს ნავთობის საბადოს წყლები. მართალია, დღეისათვის ნორიოში ყველა ერთად აღებულ ჭაბურღილში წყლის ახლანდელი დებიტი არ არის საკმარისი ოდის სამრეწველო რაოდენობით მოსაპოვებლად, მაგრამ წყლის რაც შეიძლება მეტი დაგროვებისა და მისგან ოდის მიღებისათვის აქ უთუოდ კარგი პირობებია. ამისათვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ნორიო-მარტყოფის რაიონში ჩატარდეს ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები, სპეციალური ბურღვით უნდა გამოვლინდეს მიწისქვეშა წყლების დაგროვების უბნები და გამოითვალოს მათი მარაგი. ამასთანავე შესწავლილ უნდა იქნას ამჟამად უმოქმედო ჭაბურღილების ტექნიკური მდგომარეობა, მათგან მრავალი გამოდგება წყლიანი ბორიზონტების გამოსავლენებლად. ცხადია, საექსპლოატაციო ჭაბურღილებიდან მიღებული წყლები უნდა მიემატოს წყლების საერთო მარაგს ოდის საქარხნო მოპოვებისათვის. ანალოგიური მუშაობა სასურველია შესრულდეს კავთისხევის უბანზე.

ჩვენში ნავთობის საბადოების წყლებიდან ოდის მოპოვება ახლო მომავლის საქმე უნდა გახდეს.

გ. ძამთარაძე,
ჰიდროგეოლოგი.

გაზეთებიდან შეტყობინებებზე

ადამიანები, რომლებმაც დროს გაუსწრეს

ამ სათაურით ტყვარჩელის საქალაქო გაზეთი „ტყვარჩელის მაღაროელი“ აქვეყნებს წერილს, რომელიც მეშახტეთა სასახელო საქმეებს ეხება.

ტყვარჩელის შახტების ლავებსა და სანგრევებში მომუშავე მრავალი მეშახტე დიდ წარმატებას აღწევს. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც მომავალი წლის ანგარიშში მუშაობენ. ასეთთა რიცხვს ეკუთვნიან მნგრეველმტვირთავთა ბრიგადირი მიხეილ ზოდელავა, გამყვანთა ბრიგადირი რუბენ ჯღარკავა, გამყვანი ნიკოლოზ ხაჭიპერაძე. ისინი 1959 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში იღებენ ქვანახშირს.

სიმწიფის ატესტატით ქარხანაში

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში უკანასკნელი ორი-სამ წლის განმავლობაში საშუალო სკოლის ორასზე მეტი კურსდამთავრებული მოვიდა.

როგორც ზესტაფონის რაიონული გაზეთი „ლენინელი“ იტყობინება, სიმწიფის ატესტატით მოსული ახალგაზრდები პირველი დღეებიდანვე ენერგიულად ჩაებნენ ქარხნის მუშაობაში, დაეუფლნენ რთულ პროფესიებს.

ორი წლის წინათ დაიწყეს ქარხანაში მუშაობა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა გ. ღვინჯილიამ და კ. გეგეშიძემ. ახლა ისინი მოწინავე მდნობელები არიან, ყოველთვიურ გეგმებს 105-110 პროცენტით ასრულებენ. ასევე სასახელოდ, წარმატებით მუშაობენ სიმწიფის ატესტატით ქარხანაში მოსული ახალგაზრდები ვ. რაზმაძე, გ. დოლაძე, ნ. თხელიძე, ზ. ჯუღელი და სხვები.

მექანიზებული ქარხანა

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). ამას წინათ რაიონის ცენტრში გაიხსნა ყველისა და კარაქის ახალი ქარხანა, რომელიც მთლიანად მექანიზებულია. მოეწყო მექანიზებული სასწორი, ყველის დასამზადებელი 1.000-ლიტრიანი ორი ავზი, წარმოებს ავტომატური პასტერიზაცია, საათში 1.000 ლიტრი რძე იწმინდება. აქვეა ნაღების მოსამწიფებელი 400-ლიტრიანი ავზი. დამონტაჟდა ამავე მოცულობის კარაქის სადღვები დანადგარი. მექანიზებული წესით ხდება სამანქანო განყოფილებიდან ავზებში რძის გადატანა. მოეწყო აგრეთვე კომპლექსური გაცივება.

2.000.000 ჭონა სილოსისათვის 1958 წელს!

დრო გადის, ტემპი კვლავ დაბალია...

მოსავლის აღების ცხარე დღეებში სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სახელგანთქმული მწველავი ფ. გამჯაშვილი საკვებმომპოვებელი ბრიგადის წევრებს გულნატკენად ეუბნებოდა:

— ხედავთ, რა ვაქკაცურად მუშაობენ მექანიზატორები, მემინდვრეები. ვალდებულება იკისრეს უდანაკარგოდ აიღოთ ხორბალი ათ დღეში და შეასრულეს კიდეც. თქვენ კი მოიკოჭლებთ...

მწველავის შენიშვნას, ცხადია, თავის საფუძველი ჰქონდა. ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ კოლმეურნეობაში მეცხოველეობის განვითარების ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი მტკიცე საკვები ბაზის უქონლობა იყო. ხოლო მას შემდეგ, რაც პირუტყვს უხვად დაუმზადეს თივა, სილოსი და სხვა ყუთოიანი საკვები, წველადობამ მნიშვნელოვნად იმატა. ამის დამადასტურებელი ფაქტი აქ მრავალია. თვით მწველავი ფ. გამჯაშვილი წლითიწლობით ზრდის წველადობას. წელს მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ერთ საფურაჟე ძროხაზე 5.000 ლიტრი რძე მიიღოს. გეგმა კი 3.800 ლიტრს ითვალისწინებს. დღეისათვის უკვე მიღებული აქვს 3.900 ლიტრი. მოწინავე კოლმეურნეებთან ერთად დაუცხრომლად ზრუნავს იმისათვის, რომ ძროხები უზრუნველყოს ნოყიერი, წვნიანი საკვებით.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა (თავმჯდომარე ე. დანელია, პარტიიუროს მდივანი რ. ტაკაშვილი) სათავეში ჩაუდგა კოლმეურნეთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, ფართოდ ნერგავს მოწინავეთა გამოცდილებას. კოლმეურნეობაში წელს გეგმით უნდა ჩადონ 2,000 ტონა სილოსი, დღეისათვის ჩადებულია 400 ტონა. თუმცა ეს ციფრი სახარბიელო არ არის, მაგრამ რაიონის დანარჩენ კოლმეურნეობებთან შედარებით მაინც ყველაზე მეტია.

სილოსის დამზადების საქმეში ერთგვარი მუშაობა გაუწევია აგრეთვე სოფელ თელეთის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე შ. გურულიშვილი, პარტბიუროს მდივანი ა. ბულავრიშვილი). დღეისათვის უკვე ჩადებული აქვთ ასობით ტონა სილოსი. პირუტყვის საკვების დამზადების საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს კრწანისის მებოსტნეობა-მერძეულობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივსაც.

მაგრამ გარეუბნის რაიონის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სილოსის დამზადების საქმე დამაკმაყოფილებელი როდია.

სოფელ გლდანის კოლმეურნეობა „საბჭოთა საქართველოში“ (თავმჯდომარე გ. აბუაშვილი, პარტბიუროს მდივანი ვ. რინიშვილი) სოციალისტური შეჯიბრებიდ ნაკისრი ვალდებულებანი მტკიცე საკვებ ბაზის შექმნის მისაბაძ მაგალითებს ითვალისწინებენ. მაგრამ, სამწუხაროდ, სიტყვა და საქმე აქ შორი-შორს არიან. ამ კოლმეურნეობაში სილოსის დასამზადებლ დღემდე ბევრი არაფერი გაკეთებულა.

მსგავსი მდგომარეობაა სოფელ ტაბახმელის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ქორელიშვილი, პარტბიუროს მდივანი ბ. სეფიაშვილი), სოფელ ლისის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. ბერიძე, პარტორგანიზაციის მდივანი გ. არაქელოვი).

ნელი ტემპით მიმდინარეობს სილოსი ჩადება აგრეთვე სოფელ აეტლის სტალინის სახელობის, სოფელ მარტყოფის ლენინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

დრო არ ითმენს, პარტიის გარეუბნის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ სილოსის დამზადების საქმეში არსებული ჩამორჩენის სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

ა. გოცირიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ვერხვიანელ კოლმეურნეებთან

კაპრეთის რაიონის სოფელ ვერხვიანში განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დარგში. 1957 წელს საშუალოდ ერთ ძროხაზე 1.414 ლიტრი რძე მიიღეს გეგმით გათვალისწინებული 1.200-ის ნაცვლად. წარმატებებია მოპოვებული მეცხვარეობის, მეღორეობისა და მეფრინველეობის განვითარებაში.

ვერხვიანელები წელს უკეთ მუშაობენ. 1 აგვისტოსათვის თვითეულ ძროხაზე 1.000 ლიტრი რძე ჰქონდათ მიღებული და ყველაფერს აკეთებენ წლის ბოლომდე ამ ციფრის 1.700-მდე ასაყვანად.

ახლა კოლმეურნეობაში საკვების დამზადების გაცხოველებული დღეებია. 80-ზე მეტი კოლმეურნე ბალახს თიბავს, აბულულებს, ზვინავს. მანქანებით ეხიდებიან მწვანედ მოხასხასე სიმინდის მასას, კუწავენ და იქვე დებენ კაპიტალურ ორმოებში. ს. ნინაშვილი, ქ. საგინაშვილი, ი. ალუღიშვილი, ნ. ჭიკაძე და სხვები დღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

— შარშან თუ 450 ტონა, ანუ თვითეულ ძროხაზე 9 ტონა სილოსი დავამზადეთ, წელს პირუტყვს 700 ტონა წვნიან საკვებს დავუმზადებთ, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზ. კოზმანაშვილი.—უხეში საკვებისა და სილოსის გარდა რაციონს კომბინირებული საკვებით, კონცენტრატებითა და საკვები ძირხვენებით გავამდიდრებთ. წელს პირუტყვს თბილად და მაძღრად გამოვზამთრებინებთ.

კარგი პირი უჩანს კოლმეურნეობაში სიმინდისა და ყურძნის მოსავალს.

2 აგვისტოს კოლმეურნეობაში დიდი ზეიმი იყო. სოფელ ვერხვიანის ცხაკაიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტელს მიდინარე წლის ექვსი თვის შედეგების მიხედვით საზეიმო ვითარებაში გადაეცა უკრაინის სსრ კახოკის რაიონის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მომმე ერის წარმომადგენლებმა მათთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ბმული კაპრეთის რაიონის ყველაზე მოწინავე კოლმეურნეობისათვის დაწესებულ.

გ. ლუარსაბიძე.

მოხუცის ნატვრა

ვისაც ამ მოკლე ხანში ჯორჯიაშვილის ქუჩაზე გაუვლია, შეამჩნევდა № 12 სახლის წინ პატარა ბაღს. ვინ გააშენა ეს ბაღი? გამწვანების ტრესტმა? არა, ამ სახლის ბინადარმა 83 წლის ვლადიმერ მჭედლიშვილმა.

ვლადიმერ მჭედლიშვილი პერსონალური პენსიონერია. მუდამ შრომასა და გარჯაში გაზრდილი შინ უსაქმოდ ვერ ჩერდება.

— ჩვენს ეზოში თუ კი რამ კარგი და ლამაზია, — ტალავერი, თუთისა და ატმის ხეები, ყვავილების გაზონები, ყველაფერი პაპა ვლადიმერის ნახელავია, — კმაყოფილებით ამბობენ მეზობლები.

მოხუცმა საკუთარი თანხითა და ინვენტარით დამუშავა ყოფილი სანაგვე ადგილი სახლის წინ, ქუჩის ნაპირი გაწმინდა მტვრისაგან და საკუთარ სანერგეში გამოყვანილი ყვავილებით მორთო. თუთის, ატმის და აკაციის ნერგები დარგო. გაალამაზა ქუჩის ეს მხარე.

ვინმემ დაავალა ამის გაკეთება? არა! საკუთარმა გულისთქმამ უკარნახა მოხუცს.

— თბილისი 1.500 წლისა ხდება, გადავწყვიტე საყვარელი ქალაქისათვის მეც მიშეძღვნა მცირედი სიუქარი, — ამბობს ვლადიმერი.

ძლიერ უყვარს ვლადიმერ მჭედლიშვილს მშობლიური ქალაქი. 75 წელი აქ გაუტარებია, ბევრის მომსწრეა. სოფლიდან წამოსული კახელი ბიჭი, სიონის ეკლესიის ხელზე მოსამსახურე, დარბოდა თბილისის ქუჩებში. ხად იყო მისთვის თბილი კერა და სწავლა. ვინ მოთვლის, რამდენი შიმშილი, გაჭირვება და დამცირება განუცდია ძველთ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისის ლენინის რაიონის საფინანსო განყოფილებაში აგენტად მუშაობდა. უმწიკვლო, პატიოსან და საქმის ეროგულ მუშაკს არაერთხელ დაუმსახურებია მადლობა, ჯილდო. სამი ვაუკაცი გაუზარდა სამშობლოს, სამივენი დიდ სამამულო ომში გმირულად ებრძოდნენ მტერს, აქედან ერთი საყვარელ სამშობლოს შეეწირა... შვილიშვილებმა სიცოცხლის ხალისი შემატეს მოხუც ვლადიმერს.

განახლებული ცხოვრება, პირადი ბედნიერება, მშობლიური ქალაქის სიყვარული ამოქმედებს მოხუცის გამრჯე მარჯვენას.

— ყველა ჩვენგანმა თითო ხე და ბუჩქი რომ დარგოს ჩვენს ქუჩებში, მაშინ თბილისი ზღაპრულ ქალაქს დაემსგავსება!

ამას ნატრობს კეთილი მოხუცი. ყოველდღე დილადრიან ვლადიმერი თავის პატარა ბაღშია. მზრუნველობით დასტრიალებს ყოველ ბუჩქს, რწყავს, სათუთად უვლის. თუთის, ატმისა და აკაციის ნერგებმა უკვე იხარეს. წითელ-ყვითელმა ყვავილებმა ხალიჩასავით მოქარგეს პატარა ბაღი.

დიდი და პატარა, ეზოს ბინადარნი თუ გამვლელნი კმაყოფილებით შესცქერიან ქუჩის პირას პატარა ბაღს და მადლობას უძღვნიან მის გამშენებელს.

მ. ინასარიძე.

* * *



სურათზე: პენსიონერი ვლადიმერ მჭედლიშვილი მუშაობს თავის პატარა ბაღში.

ფოტო გ. გოგოხიასი.

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდი ამოცანები დასახეს მევენახეობის შემდგომი განვითარებისა და აყვავების მოსავლიანობის ამაღლებისათვის. ამ ამოცანების შესრულების საქმეში თავიანთი წვლილი შეიქვთ გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეებს. კოლაგელები ყოველწლიურად ზრდიან ვენახების ფართობს მაღალმოსავლიანი ჯიშის ნამყენი ვაზით.

სურათზე: (მარცხნიდან) კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ნაცვლიშვილი, სანერგე ვაზის მეურნეობის მერგოლური ჩ. მინდორაშვილი და მევენახე აგრონომი ი. მამულაშვილი ამოწმებენ სანამყენედან გამოტანილი ფესვების შეკრის ხარისხს.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

ზურიზუღი სეზონი საქართველოში

საქართველო თავისი ბუნებით, განთქმული კურორტებით, მატერიალური კულტურის ძეგლებით ძველთაგანვე იზიდავდა მრავალ ტურისტს. საბჭოთა კავშირში საქართველოს ტურიზმის ქვეყანას უწოდებენ, ისევე როგორც ევროპაში შვეიცარიას. საქართველოს დასათვალიერებლად უწყვეტ ნაკადად მოედინება ათეულათასობით ტურისტი და მოგზაური როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან, ისე უცხოეთის თითქმის ყველა ქვეყნიდან.

წელს განხორციელდა საჭირო ღონისძიებანი ტურისტული ბაზების ახალი სეზონისათვის მოსამზადებლად. ჯერ კიდევ ტურისტული სეზონის გახსნამდე დამთავრდა ბაზების შენობათა კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, ქვეთანმოწყობილ იქნა დამხმარე სათავსოები. ჩატარდა ავტომანქანების კაპიტალური და სამუალო რემონტი. წესრიგზეა მოყვანილი ინვენტარი. ტურისტული კაბინეტები შეივსო ახალი სტენდებით და ფოტოსურათებით. ყველა ბაზა უზრუნველყოფილია მუსიკალური ინსტრუმენტებით.

ტურისტულ ბაზებში შექმნილია საუკეთესო პირობები ტურისტთა, მოგზაურთა და ექსკურსანტთა კულტურული დასვენებისა და გართობისათვის.

1958 წლის სეზონში საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს ტურისტული ბაზები მოემსახურებიან 60 ათასზე მეტ გეგმიან და თვითმოქმედ ტურისტს, 500-ზე მეტს ალპინისტსა და 350 ათას ადგილობრივ ექსკურსანტს.

თუ 1957 წელს საქართველოში საკავშირო მნიშვნელობის 17 მარშრუტი გადიოდა, წელს 19 მარშრუტი გადის, და დღემდე ამ მარშრუტებით საქართველოს ესტუმრა 25 ათასზე მეტი მოგზაური და ტურისტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ წელს ჩვენს რესპუბლიკაში პირველად გაიხსნა საკავშირო მნიშვნელობის კახეთის № 79 ჩათვლითი მარშრუტი. ამ მარშრუტის გახსნასთან დაკავშირებით ამუშავდა ტურბაზები თელავსა და ლაგოდეხში.

წელს ჩვენს რესპუბლიკაში გაიხსნა ახალი ტურისტული ბაზები თავისი ფილიალებით, საგრძნობლად გადიდდა აგრეთვე არსებული ტურისტული ბაზების გამტარუნარიანობა.

საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველო წლევანდელ სეზონში ყოველდღიურად იღებს და მომსახურებას უწევს 3.610 ტურისტს და ალპინისტს, რაც 1.035-ით აღემატება 1957 წელს მიღებულ ტურისტთა რიცხვს. ტურისტთა, ალპინისტთა და ექსკურსანტთა ნორმალური მომსახურებისათვის განკუთვნილი გვაქვს 18 ტურისტული ბაზა 12 ფილიალით და ერთი 120-ადგილიანი ალპინისტური ბანაკი კავკასიონის მთებში.

მიმდინარე წლის ივნისში სოხუმში გაიხსნა 200-ადგილიანი ტურისტული ბაზა, რომელიც ძირითადად მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას ემსახურება.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარისა და აფხაზეთის კურორტგაჭრობა სათანადოდ ვერ ამარაგებენ კვების პროდუქტებით შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ბათუმის, მწვანე კონცხის, სოხუმის, ახალი ათონის, ბიჭვინთისა და გაგრის ტურისტულ ბაზებს. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ ეს კარგა ხანია იცის, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ჯერჯერობით ქმედითი ღონისძიებანი არ დაუსახავს.

ტურისტულმა ბაზებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ წლევანდელმა ტურისტულმა სეზონმა სანიმუშოდ ჩაიაროს.

ა. ჯანჯღავა,
საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

მინერალური წყალი „ნაბელღევი“

ბახმაროს მიმართულებით, ჩოხატაურის რაიონული ცენტრიდან ოცდახუთიოდე კილომეტრზე, მთის ჩქარი მდინარის გუბაზოულის ხეობაში მდებარეობს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტი ნაბელღევი. მისი მინერალური წყალი ანალოგიურია განთქმული „ბორჯომის“ და „ვიშის“ წყლებისა. მისი დებიტი დღეღამეში 70.000 ლიტრს აღწევს. „ნაბელღევით“ მკურნალობენ კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, თირკმლის ქრონიკულ დაავადებებს, ნივთიერებათა ცვლის მოშლილობას, პათოლოგიურ სიმსუქნეს, შაქრიან დიაბეტს და სხვ.

ჯერ კიდევ ძველათ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ „მყავე წყალს“, რომელიც მაშინ გუბის სახით იდგა, ძალიან ეტანებოდა პირუტყვი. ამიტომ დაინტერესდნენ, დაკვირვებით მიხვდნენ, რომ ეს ძალიან სასარგებლო წყალია, და დაიწყეს ამ წყლის სახმელად გამოყენება, აგრეთვე სახელდახელოდ აგებულ შენობაში აბაზანების მიღება. მკურნალობას შესანიშნავი შედეგები მოჰქონდა.

გარდა მინერალური წყლებისა, ნაბელღევი საუკეთესო კლიმატური თვისებებით ხასიათდება. იგი მთაგორიანია, ზღვის დონიდან 475 მეტრზე მდებარეობს, აქვს სუფთა ჰაერი, ბუნებრივი ტყეებით დაფარული მიდამოები. გარდა ამისა, 1942 წელს ამ კურორტის ირგვლივ ფერდობებზე დაიწყო და ახლაც გრძელდება წიწვიანი მცენარეების გაშენება. უკვე გაშენებულია 20 ჰექტარი.

ამჟამად ეს შესანიშნავი ადგილი უკვე ჩადგა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საკურორტო სამმართველომ წელს აქ გახსნა სანატორიუმის ტიპის 50-საწოლიანი პანსიონატი. პანსიონატს აქვს 24 ოთახი.

კურორტზე არის საბაბანო, რომელიც ერთდროულად 6 კაცს ემსახურება, რაც ვერ აკმაყოფილებს დამსვენებელთა მოთხოვნილებას. მუშაობს 25-საწოლიანი საავადმყოფო, რომელიც უახლოეს ხანში გადავა მისრვის სპეციალურად აგებულ შენობაში, აფთიაქი, სასადილო, ბურის საცხობი, შენდება ქართული პურის საცხობი, წელს დაიწყება მშენებლობა მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხნისა, რომლის წარმადობა წელიწადში 4 მილიონი ბოთლი იქნება. აქ აიგება აგრეთვე სასოფლო მაღაზიის კაპიტალური შენობა.

მაგრამ ის, რაც გაკეთებულია ამ კურორტის კეთილმოწყობისათვის, სრულიად არ არის საკმარისი. აქ შარშან ხუთი ათასზე მეტი კაცი მოვიდა სამკურნალოდ და დასასვენებლად. კურორტი ორგანიზებულად მხოლოდ 1.200 კაცს მოემსახურა. ამ მხრივ ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც წელს არის. მკურნალობის ეფექტურობისათვის ხასურველია გაიხსნას დიეტური სასადილო. მდინარეზე უნდა აიგოს კაპიტალური ხიდი.

ე. მამალაძე.

* * *

სურათზე: პანსიონატის შენობა.

ფოტო ბ. კუპავასი.



კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„ტექნიკური ტერმინოლოგია“

ტექნიკური აზრის განვითარების საქმეში ტექნიკური ტერმინოლოგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს. იგი წარმოადგენს აუცილებელ წანამძღვარს სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის შექმნისა და ტექნიკური განათლების ნორმალური წარმართვისათვის.

ტექნიკური პროგრესის ტემპი ამჟამადროს არ ყოფილა ისეთი მაღალი, როგორც დღეს. ტექნიკა ისე სწრაფად წავიდა წინ, რომ 1935 წელს გამოცემული ტექნიკური ტერმინოლოგია უკვე დიდი ხანია მოძველდა და ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე ტექნიკის მზარდ მოთხოვნებს. ამ თვალსაზრისით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული „ტექნიკური ტერმინოლოგია“ მისასალმებელ მოვლენას წარმოადგენს.

ახალი ტექნიკური ტერმინოლოგია წარმოადგენს რუსულ-ქართულ ნაწილს და შეიცავს 50.000-მდე სიტყვას თუ გამოთქმას. მასში თავმოყრილია თანამედროვე ქართულ ტექნიკურ ტერმინთა უდიდესი უმრავლესობა და მომავალში მხოლოდ ცალკეული შესწორებებისა და დამატებების შეტანა იქნება საჭირო.

ახალი ტექნიკური ტერმინოლოგია აგებულია ბუდეების სისტემაზე. მთავარ სათარგმნ ერთეულად აღებულია არსებითი სახელი, რომელიც შავი შრიფტით არის დაბეჭდილი ბუდის თავში, ხოლო ყველა სხვა სიტყვა (განსაზღვრება, ამხსნელი სიტყვები, მარტივი თუ იდიომატური გამოთქმები) ამ არსებით სახელთან იყრის თავს ბუდეში, ამასთან რუსული არსებითი სახელი ბუდეში ყველგან შეკვეცილია (მაგ. подшипник — საკისარი; п. антифрикционный — ანტიფრიქციული საკისარი...) ორი, სამი ან მეტსიტყვიანი გამოთქმის საპოვნელად ლექსიკონში უნდა მოიძებნოს არსებითი სახელი, ხოლო მის ბუდეში იქნება შემოყვანილნშული რუსული ტერმინების ქართული შესატყვისები.

ტერმინოლოგიაში მოხდენილია ძნობრივი ხასიათის ზოგიერთი ცვლილება. ახლებურად გადმოცემულია მიმღობა. მაგ. строящийся — შენდებადი, развертывающийся — განშტოებადი და ა. შ. რუსული до ზმნისწინი გადმოცემულია ახლებურად, კმა სიტყვის დართვით. მაგ., допресовка — კმაწნეხვა, добуривание — კმაბურღვა და სხვ. რუსული недо ზმნისწინის გადმოსაცემად გამოყენებულია უკმარ ფუძე, მაგ., недонапряженный — უკმარძაბული ან недокат — გლინვაუკმარი და სხვ. რუსული пере-ს ეკვივალენტად გამოყენებულია გადამეტებით წარმოება. მაგ., перенапряжение — გადამეტძაბვა და ა. შ.

ტერმინოლოგიის საგრძნობლად გაფართოებასთან და გათანადროულებასთან ერთად შემოღებულია მრავალი ახალი ტერმინი და შესატყვისი: стан — დგანი, проем — ღიობი, пуск — გაშვება, ამუშაება და სხვ. საერეცენზიო ტერმინოლოგიის უპირატესობას შეადგენს: ტექნიკურ ტერმინთა მარაგის მნიშვნელოვნად გაფართოება ახალი ტერმინების შემოღებით და ქართული შესატყვისების დახვეწა-დაზუსტებით; ლექსიკონის მოდერნიზაცია, რის შედეგადაც იგი ძირითადად აკმაყოფილებს მოთხოვნებს და შეესაბამება ტექნიკის დღევანდელ დონეს, აგრეთვე ქართული სალიტერატურო და სამეცნიერო ენის ამჟამინდელ ვითარებას.

„ტექნიკურ ტერმინოლოგიას“ აქვს ზოგიერთი ხარვეზიც: მასში ჯერ კიდევ არ მოხვდა ზოგიერთი აქტიური ტერმინი, რომელთა ქართული შესატყვისები დასადგენია. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: монолачивание — დამონოლითება, обетонование — შემობეტონება, обноска — შემოღობვა და სხვ. ტერმინოლოგიაში ბევრი რუსული ტერმინი მხოლოდ ერთი შესატყვისით არის თარგმნილი, მაგ., фахверк — ხეაგური, хомут — ცალკეული. უმჯობესი კი იყო გვქონოდა ორი ან მეტი შესატყვისი, რომელთა ავკარგიანობას მომავალში პრაქტიკა დაამტკიცებდა. თარგმანი фахверк — ხეაგური, მიუღებლად მიგვაჩნია, ფახვერკი შეიძლება განხორციელდეს როგორც ხის და აგურის გამოყენებით, ისე ლითონითა და ბეტონის ბლოკებით. ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა თარგმანი фахверк — ფახვერკი, ჩალანგარა. ასევე უფრო სწორი იქნებოდა хомут — საკიდი, უღე, ცალუღი.

ტერმინების თარგმნისას რამდენიმე შესატყვისიდან პირველ ადგილზეა მოთავსებული უპირატესობის მქონე შესატყვისი. მაგ. сборный — ნაკრები, ასაწყობი. მაშასადამე, აქ უპირატესობა მინიჭებული აქვს „ნაკრებს“. ეს არასწორად მიგვაჩნია. პრაქტიკაში თითქმის დადგენილია сборный железобетон—ასაწყობი რკინაბეტონი, сборные конструкции — ასაწყობი კონსტრუქციები. ასევე ვერ დავეთანხმებით შემდეგ თარგმანს опалубка — შეფიცვრა, ყალიბი. შეფიცვრა ყოველთვის გულისხმობს ფიცრის გამოყენებას, ხოლო როდესაც ფიცრის მაგიერ ფოლადი ან სხვა მასალა იქნება გამოყენებული, მაშინ ტერმინი „შეფიცვრა“ უვარგისი, უნდა აღინიშნოს ერთი ტერმინის შესახებაც — ферма — წამწე, ფერმა. ამა თუ იმ ტერმინის ვარგისიანობის კრიტერიუმი პრაქტიკაა, წამწე „უდღეო“ ტერმინია, ფერმა კი ძირითადი, შეიძლება ითქვას, უკვე დადგენილი ტერმინი. გარდა ამისა, ძველ ტერმინოლოგიაშიც ფერმა წინა პლანზე იყო. მაშასადამე, უპირატესობა უდავოდ ფერმას ეკუთვნის.

საერთოდ, ჩვენი აზრით, ტერმინები: ხეაგური, წამწე... ხელოვნურად შექმნილი ტერმინებია და მათ ისეთივე ბედი ეწევათ, როგორც ცნობილ არქაულ ტერმინებს: რონდას, ანგარანს და სხვ.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ახალი ტექნიკური ტერმინოლოგია წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს ქართული ენის მდიდარი ლექსიკური ფონდის გამოვლინების საქმეში და უდავოდ დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოში ტექნიკური აზრის განვითარებას.

ახალი ტექნიკური ტერმინოლოგიის შედგენაზე მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი მუშაობა გაუწევიათ პროფ. რ. დვალს, პროფ. რ. აგლაძეს, პროფ. ვ. ბერიძეს, პროფ. რ. ონიაშვილს, პროფ. გ. ჯიმშელეიშვილს და სხვებს, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებას და მთლიანად ტერმინოლოგიის სარედაქციო კოლეგიას.

საჭირო და სასურველია, რომ შრომის მეორე, ქართულ-რუსული ნაწილი, რომელზეც ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა, უახლოეს ხანში გამოიცეს.

დოც. ი. ბერიშვილი.

სასტუმრო „ბორჯომის“ ხედი. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

რამდენიმე სტრიქონით

◉ გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს საბურთალოზე პავლოვის ქუჩის კეთილმოწყობისათვის ვაკე-საბურთალოს მაგისტრალამდე. აქ მთავრდება დიდი კოლექტორის მშენებლობა. იგი მთლიანად გასდევს ამ ქუჩას. ქუჩაზე ასფალტი დაიგება, ორივე მხარე გამწვანდება. პავლოვის ქუჩა ერთ-ერთი ულამაზესი იქნება თბილისში.

◉ თბილისის 1500 წლისთავისათვის დამთავრდება ფალიაშვილის ქუჩის კეთილმოწყობა. აღებულ იქნება სახლები, რომლებიც ამ ქუჩას მრავალ ადგილას კვეთდა. ამ მაგისტრალის გახსნით ავტოტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობისაგან საგრძნობლად განიტვირთება ილია ჭავჭავაძის პროსპექტი.

◉ წელს დაიწყება დიდუბეში ბრძოლის ქუჩის გაფართოება-კეთილმოწყობის სამუშაოები. პირველ რიგში შესრულდება სამუშაოები წყალტუბოს ქუჩიდან მაუდ-კამოლის კომბინატამდე.

ჩვენი ბავშვებისათვის, ჩვენი ახალგაზრდობისათვის

— თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა 5, საბლიტგამი. — ამ მისამართით გვიგზავნიან წერილებს როგორც ნორჩი და ახალგაზრდა მკითხველები, ისე მათი აღმზრდელები. ისინი გვიზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს ჩვენ მიერ გამოქვეყნებულებს ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნებზე, გვთავაზობენ ინიციატივებს, მზრუნველობითა და ყურადღებით ეკიდებიან ყოველ ახალ ლიტერატურულ მოვლენას.

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა (საბლიტგამი) ოცი წელია ემსახურება ახალი თაობის იდეური და ესთეტიკური აღზრდის მაღალ, კეთილშობილურ საქმეს. ამ ხნის განმავლობაში საბლიტგამმა მრავალი შესანიშნავი წიგნი გამოსცა. გამომცემლობამ ეხმარება ქართულ საბავშვო ლიტერატურას მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნაში.

ცნობილია, რა დიდ როლს ასრულებენ ქართველი კლასიკოსები ბავშვთა მწერლობას. ილია ჭავჭავაძე უდიდესი ყურადღებით ეკიდებოდა ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ ლიტერატურას. აი რა სიხარულით ხვდა იგი „ივერიის“ ფურცლებზე 1890 წლის 31 დეკემბერს: „ასიამოვნო ამბავი უნდა ვახაროთ ჩვენს მკითხველს: დღეს დაიგდათ ხელისმომწერთ პირველი ნომერი ახალი საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილისა“, რომელიც ამას შემდეგ ყოველ ორ თვეში ერთხელ გამოვა...“

ალკაკი წერეთლის აზრით, „ყმაწვილებისათვის ის არის გამოსადეგი და სასარგებლო, რაც არც დიდებს აწყენს. მაღალის ნიჭის უნდა იყო მწერალი და ნიჭიც განთავისუფლებული უნდა გქონდეს, რომ ასე ტკბილად ჩასჩურჩულო ყმაწვილს და ამავე დროს დიდებიც გაიტაცო!“.

კიდევ უფრო მაღალ შეფასებას აძლევს საბავშვო მწერლობას ვაჟა-ფშაველა: „ნურავის ჰგონია ადვილი იყოს საბავშვო ლექსის და მოთხრობის დაწერა, ყველაზე ძნელი სწორედ ესაა, და თუ არ ღვთიური ნიჭით მირონცხებულს და სულით მდიდარს, არ შეუძლიან გახდეს საბავშვო მწერალი“.

დიახ, რთული საქმეა ღრმაღ ჩასწვდე ნორჩი ადამიანის სულიერ სამყაროს, მეტად ძნელია მისთვის ცოცხლად და მიმზიდველად წერა! ბუნებრივია, რომ ასევე რთული და ძნელი ამოცანები დგას გამომცემლობის წინაშეც, რომელსაც ჩვენი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საჭირო ლიტერატურის გამოშვება ევალება.

ბევრი საინტერესო წიგნი გამოსცა საბლიტგამმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში. ჩვენმა მკითხველებმა ახლახან მიიღეს მარიჯანის „ჩვენი ეზოს ბავშვები“, ლ. მეგრელიძის „სახსოვარი“, გ. შატბერაშვილის „სათაფლია“, ქ. ჭილაშვილის „საბავშვო მოთხრობები“, ლ. მრელაშვილის „იყალთოელი ბიჭები“, ვ. ლებანიძის „ბავშვებს“, ალ. შენგელიას „კალმახის გადარჩენა“, მ. მაჭავარიანის „უნდა გახაროთ“, ზ. შერაზადიშვილის „რიკტაფელა“, ს. შანშიაშვილის და ალ. გოგელ ტომს — ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობას“ (ახალი, სრული თარგმანი შესრულებულია მ. ქარჩავას მიერ); მეორე ტომი, რომელშიც მოთავსებულია მარკ ტვენის ნაწარმოებები „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“, გამოვა წლის ბოლოსათვის.

მომავალ წელს სათავგადასავლო სერიიდან გამოიცემა ჟიულ ვერნის „კაპიტან გრანტის შვილები“ (მესამე ტომი), „ქართველი მწერლების სათავგადასავლო ნაწარმოებები“ (მეოთხე ტომი), ალფონს დოდეს „ტარტარენ ტარასკონელი“ (მეხუთე ტომი), მაინ რიდის „უთავო მხედარი“ (მეექვსე ტომი). დანარჩენ ოთხ ტომს გამოვცემთ 1960 წელს.

1959 წელს ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მაღალმხატვრული ორიგინალური ლიტერატურის გამოცემას. ლეო ქიაჩელი ამ დროისთვის დაამთავრებს თავის მოგონებათა წიგნს. გალაკტიონ ტაბიძეს გადმოგვცა კრებული, რომელშიც შესულია მისი საუკეთესო ლექსები. გიორგი ლეონიძე ჩვენთვის ამზადებს ახალი ლექსების წიგნს. კონსტანტინე ლორთქიფანიძე წერს მოთხრობას მცირეწლოვანთათვის. ახალგაზრდული გატაცებითა და აღფრთოვანებით შრომობს თავისი განუყრელი მეგობრებისათვის მწერალი ნინო ნაკაშიძე. მომავალ წელს განზრახული გვაქვს გამოვცეთ მისი რჩეული ზღაპრები.

მდიდრულად იქნება გაფორმებული სულხან-საბა ორბელიანის ოგავ-არაკები, აკაკი წერეთლის პოემა „ნათელა“, ხალხური „არსენას ლექსი“. ეს უკანასკნელი ილუსტრირებულია ახალგაზრდა მხატვრის ა. ბანძელაძის მიერ.

ქართული ლიტერატურის გამოჩენილ ოსტატებთან ერთად მნიშვნელოვან ადგილს დავუთმობთ ახალგაზრდა მწერლებს, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში ნორჩი თაობის მრავალფეროვან ცხოვრებას ასახავენ.

მომავალი წლის გეგმაში ფართოდ არის წარმოდგენილი როგორც რუსი კლასიკოსების, ისე რუსეთის თანამედროვე მწერლების შემოქმედება. მოწინავე ქართველი მწერლები თარგმნიან მიხეილ შოლოხოვის, ალექსი სურკოვის, ნიკოლოზ ტიხონოვის, სამუელ მარშაკის, ალექსანდრე პროკოფიევის, კორნეი ჩუკოვსკის, სერგეი სმირნოვის, ანატოლი სოფრონოვის და სხვათა ნაწარმოებებს. ასეთივე სიყვარულით მუშაობენ ისინი მოძმე ხალხთა ლიტერატურის წარმომადგენლების — მამედ რაგიმის, გურგენ ბორიანის, რასულ გამზატოვის და სხვა მწერლების ნაწარმოებთა თარგმნაზე.

ჩვენს მკითხველებს დიდად აინტერესებთ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ლიტერატურა. ამიტომ მათ მშობლიურ ენაზე გავაცნობთ ჩინელი ხალხის ბელადის მაო ძე-დუნის პოეზიის ნიმუშებს, გერმანელი მწერლის ვილი ბრედელის რომანს „შვილებს“, ჩეხი მწერლის ა. ირასეკის რომანს, რომელსაც „ძაღლთავები“ ეწოდება. გამოვცემთ აგრეთვე ახალგაზრდა ბულგარელი პოეტი ქალის ლილიანა სტეფანოვას ლექსებს. სხვათა შორის, ლილიანა სტეფანოვამ ამ რამდენიმე წლის წინათ იმოგზაურა საბჭოთა კავშირში და თავის შთაბეჭდილებათა წიგნში მრავალი აღფრთოვანებული სტრიქონი მიუძღვნა საქართველოსა და მის დედაქალაქს.

მკითხველთა სურვილის თანახმად საბლიტგამის მიერ გამოცემული იქნება აგრეთვე ჰ. ბალოს „უსახლკარო“, ბიჩერ-სტოუს „ბიძია თომას ქოხი“, ვ. ჰიუგოს „კაცი, რომელიც იცინის“.

რა თქმა უნდა, ის, რაც დავასახელეთ, მხოლოდ მცირე ნაწილია ჩვენი გამომცემლობის 1959 წლის თემატური გეგმის პროექტისა. აღნიშნულ პროექტს ჩვენ განვიხილავთ მკითხველთა და მწერალთა მონაწილეობით, მაგრამ ეს განხილვა ყოველმხრივი და ამომწურავი არ იქნება, თუ მასში აქტიური მონაწილეობა არ მიიღო ფართო საზოგადოებრიობამ. ჩვენ ვთხოვთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასი და მახლობელია საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის შემდგომი განვითარების საქმე, გაგვიზიარონ თავიანთი კონკრეტული წინადადებანი, — რა გამოვცეთ პირველ რიგში, რა წიგნები უფრო აინტერესებთ მათ. ყოველ საქმიან რჩევას, წინადადებას, შენიშვნას ჩვენ გულწრფელი მადლობის გრძნობით მივიღებთ და გავითვალისწინებთ.

გამომცემლობა ვერ შეძლებს დაკისრებული დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანების წარმატებით გადაჭრას, თუ ჯეროვნად არ დაგვეხმარებიან სტამბების კოლექტივები, რომლებიც ჩვენს შეკვეთებს ასრულებენ: საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ლითოოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკა (დირექტორი ამხ. ერ. წივწივაძე), ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი (დირექტორი ამხ. ვ. მენთეშაშვილი), საქართველოს კპ ცკ კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“ (დირექტორი ამხ. შ. წივწივაძე), პირველი სტამბა (დირექტორი ამხ. ნ. კაკუშაძე), მეოთხე სტამბა (დირექტორი ამხ. ს. ბაღდასაროვი), ფოტოცინკოგრაფია (დირექტორი ამხ. ი. ნაცვლიშვილი), ფერადი ბეჭდვის სტამბა (დირექტორი ამხ. უ. კერესელიძე) და სხვ.

გარდა ფართოდ ილუსტრირებული ჟურნალების „პიონერისა“ და „დილასა“ გამოცემისა, საბლიტგამს ევალება გამოუშვას ფერადი წიგნები მცირეწლოვანთათვის. მეტად დიდია მოთხოვნილება ასეთ წიგნებზე, მაგრამ გამომცემლობა იძულებულია დაკმაყოფილდეს წელიწადში მხოლოდ რამდენიმე ფერადი წიგნის გამოშვებით. ჩვენს ბავშვებს, რა თქმა უნდა, არა ჰყოფნით ეს რამდენიმე წიგნი! გვინდა იცოდნენ პატარა მკითხველებმა და მათმა მშობლებმა, რომ ჩვენ შეგვიძლია თვალსაჩინოდ გავადიდოთ ფერადი წიგნების გამოშვება, თუ ამ საქმეს უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობენ ლითო-ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკის, ფოტო-ცინკოგრაფიისა და ფერადი ბეჭდვის სტამბის მუშაკები. დარწმუნებული ვართ, რომ ისინი მთელი სიყვარულითა და მონდომებით მოეკიდებიან ისეთ საშვილიშვილო საქმეს, როგორიც არის ფერადი საბავშვო წიგნების ბეჭდვა.

ჩვენი ცოდნისმოყვარე ბავშვები, ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდები მოელიან წიგნებს, რომლებიც გაზრდიან და აამაღლებენ მათ, დაეხმარებიან შრომაში, ბრძოლაში, სწავლაში. გამომცემლობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გაამართლოს ჩვენი ძვირფასი მეგობრების ეს მოლოდინი.

ხუტა ბერულავა,
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი.

საბჭოთა კავშირის ეროვნული დღეები ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე

ბრიუსელი, 13 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ. მ. ფედოროვი). დღეს ბრიუსელს მსოფლიო გამოფენაზე მთავრდება საბჭოთა კავშირის ეროვნული დღეები.

ბრიუსელში სტუმრად მყოფნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი მ. დ. კოვრიგინა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ს. ვ. კაფტანოვი და სსრ კავშირის ელჩი ბელგიაში ვ. ი. ავილოვი დღეს განაგრძობდნენ უცხოეთის პავილიონების დათვალიერებას.

დილის 10 საათი და 05 წუთია. კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები ავტომობილებით მივიდნენ ამერიკის პავილიონთან. საბჭოთა დამთვალიერებლებს ხვდებიან ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბელგიაში ჯ. კლიფორდ ფოლჯერი, პავილიონის გენერალური კომისარი კალმენი და მისი მოადგილეები. ამერიკის ელჩი და პავილიონის გენერალური კომისარი კ. ე. ვოროშილოვსა და მის თანმხლებ პირებს აცნობენ სხვადასხვა ექსპონატს, უხსნიან გამოფენილი მექანიზმების მუშაობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და მისი თანმხლები პირები შედიან ცირკულარული ეკრანიანი სპეციალური კინოთეატრის დარბაზში, სადაც ნახეს ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ დოკუმენტალური ფილმის ნაწყვეტები. დათვალიერების დასასრულს კ. ე. ვოროშილოვი მადლობას უხდის ამერიკის შეერთებული შტატების ელჩსა და პავილიონის გენერალურ კომისარს გულითადი მიღებისათვის.

კ. ე. ვოროშილოვი შემდეგ საბჭოთა კავშირის პავილიონში შედის. აქ პავილიონის დამთვალიერებელთა წინაშე წარმოთქვა სიტყვა, რომელიც გადასცეს პავილიონის რადიოთი და სატელევიზიო ქსელით.

ამბ. კ. ე. ვოროშილოვის სიტყვას ისმენდა დაახლოებით 7 ათასი დამთვალიერებელი, რომელნიც საბჭოთა კავშირის პავილიონის დარბაზში შეიკრიბნენ. სიტყვის დამთავრების შემდეგ კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები გაემართნენ უნგრეთის პავილიონისაკენ. მრავალი ხალხი, რომელიც საბჭოთა კავშირის პავილიონთან შეიკრიბა, გულთბილად მიესალმებოდა კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვსა და მის თანამგზავრებს.

უნგრეთის პავილიონის შესასვლელში კ. ე. ვოროშილოვს შეხვდნენ პავილიონის გენერალური კომისარი ოძე და უნგრეთის საქმეთა რწმუნებული ბელგიაში შარკან ლასლო. პავილიონის მომსახურე პერსონალი ტაშით მიესალმა საბჭოთა სტუმრებს.

კ. ე. ვოროშილოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ჩამოუარეს პავილიონის განყოფილებებს, დიდი ინტერესით და ყურადღებით დაათვალიერეს იქ გამოფენილი ექსპონატები, რომელიც მოწმობენ უნგრელი ხალხის დიდ შრომით და კულტურულ წარმატებას.

სოციალიზმის მშენებლობის გზით

(კორეის განთავისუფლების მე-13 წლისთავის გამო)

ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები თვალსაჩინო მიღწევებით ხვდებიან თავიანთ დიდ დღესასწაულს — საბჭოთა არმიის მიერ კორეის განთავისუფლების მე-13 წლისთავს.

დიდი დრო არ გასულა ამერიკელი იმპერიალისტებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ კორეელი ხალხის გმირული ბრძოლების შემდეგ. ამ ომში ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა გამარჯვება იმის მაგალითია, რომ პროგრესული კაცობრიობის მხარდაჭერით თავისუფლებისმოყვარე პატარა ხალხებსაც შეუძლიათ დაიცვან თავიანთი მონაპოვარი, ხოლო ინტერვენტები გარდუვალად დამარცხდებიან.

ინტერვენტების განდევნის შემდეგ ჩრდილოეთკორეელების დიდი საზრუნავი იყო ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა. ამ მიზანს ემსახურებოდა ომისშემდგომი პერიოდის პირველი სამწლიანი გეგმა. შრომის პარტიის ხელმძღვანელობით სამწლიანი გეგმა წარმატებით განხორციელდა და შესაძლებელი გახდა უფრო დიდი ამოცანების დასახვა, შემუშავდა და მიღებულ იქნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა.

პირველი ხუთწლიანი გეგმის (1957-1961) ძირითადი ამოცანაა სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლების შემდგომი განმტკიცება, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საფუძვლების შექმნა, სოფლის კოოპერირების დამთავრება. ამ ხუთწლედში გადაიკრება მშრომელთა საარსებო დონის მნიშვნელოვნად ამაღლების პრობლემა, ბინებით, ტანსაცმლით, სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალ ტემპს მოწმობს ის ფაქტი, რომ 1956 წელს 1954 წელთან შედარებით სახელმწიფო და კოოპერაციული მრეწველობის საერთო პროდუქცია ერთიორად გაიზარდა, ხოლო მარცვლეულის მოსავლიანობამ ომამდელ დონეს გადააჭარბა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა ცხოვრების პირობები. 1956 წელს 1949 წელთან შედარებით ნაციონალური შემოსავალი გადიდდა 1,4-ჯერ.

თვალსაჩინო მიღწევებია სოფლის მოსახლეობის კოოპერირების დარგში. 1957 წლის ბოლოს კოოპერატივებში გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა 95,6 პროცენტი.

სოფლის მოსახლეობა ახალ წარმატებებს აღწევს მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. შარშან მიღებულ იქნა მარცვლეული კულტურების 11,4 პროცენტით მეტი მოსავალი, ვიდრე ყველაზე უხვმოსავლიან 1956 წელს.

კორეის შრომის პარტია ახორციელებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუხრელი აღმავლობის პოლიტიკას მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების კურსით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შავი მეტალურგიის განვითარებას. 1961 წელს ქვანახშირის მოპოვება მიაღწევს 9,5 მილიონ ტონას, ელექტროენერგიის წარმოება 9,7 მილიარდ კილოვატ-საათს. მაღალი იქნება მსუბუქი მრეწველობის განვითარების ტემპიც. 1961 წლისათვის 1956 წელთან შედარებით ქსოვილების წარმოება გადიდდება 2,3-ჯერ და თვითეულ სულ მოსახლეზე წარმოებული იქნება 18 მეტრი ქსოვილი.

პირველ ხუთწლედში რესპუბლიკაში მარცვლეულის წარმოება გადიდდება 1,3-ჯერ, ბამბისა — 12-ჯერ, ხორცისა — 6,7-ჯერ, აბრეშუმის პარკისა — 6-ჯერ და ა. შ. სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობა ხელს შეუწყობს მშრომელთა საარსებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებას.

ასე რადი ითქმის სამხრეთ კორეის შესახებ, სადაც ამერიკელ იმპერიალისტთა მსახური ლი სინ მანი ბატონობს. იქ მეტად დაბალია მშრომელთა საარსებო დონე.

კორეელი ხალხის სურვილია ერთიანი, თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. ამ სურვილის განხორციელებას დაბრკოლებას უქმნიან ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც ხიშტით უმაგრებენ ზურგს ლი სინ მანის რეაქციულ მთავრობას. ასეთი მდგომარეობის დიდხანს გაგრძელება შეუძლებელია.

ახალი, თავისუფალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის კარგ მაგალითს იძლევიან ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები. შრომის პარტიის ხელმძღვანელობით ისინი მომავლის ნათელ გზას უჩვენებენ მთელ კორეელ ხალხს.

კ. გიორგიძე.

სურათზე: დიასახლისები ამწვანებენ ახალ საცხოვრებელ კვარტალს ფხენიანში. ფოტო კსდრ ცენტრალური სატელეგრაფო სააგენტოსი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო. (საკდესი). დღეს 17 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის დროით აქ გაიხსნა სხდომა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიისა, რომელიც მოწვეულია საბჭოთა კავშირის ინიციატივით.

ბევრი ქვეყნის დელეგაციებს სესიაზე მეთაურობენ საგარეო საქმეთა მინისტრები. სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობს საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, ამერიკის შეერთებული შტატებისას — სახელმწიფო მდივანი ჯ. დალესი, ინგლისისას — საგარეო საქმეთა მინისტრი სელვინ ლოიდი, საფრანგეთისას — კუვ დე მიურვილი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისას — მ. ფაკზი, ერაყის რესპუბლიკისას — ა. ჯ. ჯუმარდი და სხვ.

საბჭოთა დელეგაციამ უკვე შეიტანა რეზოლუციის თავისი პროექტი ახლო და შუა აღმოსავლეთში მდგომარეობის საკითხზე.

ეს რეზოლუცია ითვალისწინებს რა, რომ საჭიროა „მიღებულ იქნეს სასწრაფო ღონისძიებანი ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში დაძაბულობის შესანელებლად საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებისათვის, ურჩევს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს დაუყოვნებლივ გაიყვანონ თავიანთი ჯარები ლიბანისა და იორდანიის ტერიტორიიდან“.

რეზოლუცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ანდობს „გააძლიეროს ლიბანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფი იმ გეგმის შესაბამისად, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფს ლიბანში წარმოადგინა თავის მეორე მოხსენებაში, და მეთვალყურეთა ჯგუფი გაგზავნოს იორდანიაში ლიბანიდან და იორდანიიდან ამერიკისა და ინგლისის ჯარების გაყვანისადმი და ამ ქვეყნების საზღვრებზე მდგომარეობისადმი მეთვალყურეობის მიზნით“.

ტრადიციის შესაბამისად, სესიის სხდომა გახსნა გენერალური ასამბლეის წინა სესიის თავმჯდომარემ ლესლი მუნრომ (ახალი ზელანდია).

მოკლე ხნის შესვენების შემდეგ, სიტყვა მიეცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დ. ეიზენჰაუერს, რომელიც სესიაზე მოვიდა.

ეიზენჰაუერი თავის სიტყვაში ამართლებდა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ინტერვენციას ლიბანში და იმოწმებდა ლიბანის „კანონიერი მთავრობის“ თხოვნას. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკის ჯარების გადასვლა ლიბანში თითქოს არ არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შინაარსს. მან განაცხადა, რომ შეერთებული შტატები თავის ჯარებს ლიბანიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიყვანენ, თუ ამას ითხოვს ლიბანის „კანონიერი მთავრობა“, ანდა იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოქმედების შედეგად ლიბანს ასცილდება საფრთხე.

ეიზენჰაუერმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავაც გაგზავნიან თავიანთ ჯარებს სხვა ქვეყნებში ამის შესახებ „კანონიერი თხოვნის პასუხად“.

შემდეგ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა წამოაყენა ეგრეთწოდებული „მშვიდობის პროგრამა ახლო აღმოსავლეთისათვის“, რომელიც შეიცავს შემდეგ პუნქტებს:

„1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პასუხისმგებლობა ლიბანში არსებული მდგომარეობისათვის; 2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ღონისძიებათა მიღება, რომლებიც უზრუნველყოფენ მშვიდობას იორდანიაში; 3. სამოქალაქო განხეთქილების გარედან გაღვივების შეწყვეტა; 4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის დაცვის შეიარაღებული ძალების შექმნა; 5. ეკონომიური განვითარების რეგიონალური გეგმის შექმნა არაბთა ამ ქვეყნების ხალხებისათვის დახმარების გასაწევად და ცხოვრების დონის ამაღლების დასაჩქარებლად; 6. ნაბიჯები ამ რაიონში ახალი გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისათვის“.

პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თავისი სიტყვა დაამთავრა და დატოვა გენერალური ასამბლეის სხდომების დარბაზი. ამის შემდეგ გამოცხადდა 10 წუთის შესვენება.

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო (საკდესი). დღეს შესვენების შემდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაური სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

მან თავის სიტყვაში სავსებით ცხადყო მთელი უსაფუძვლობა იმ ცდებისა, რომ ახლო აღმოსავლეთში ამერიკა-ინგლისის ინტერვენცია ყველას თვალის ასახვევად დაახასიათონ როგორც ლიბანისა და იორდანიის „დამოუკიდებლობის დაცვა“ და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის რაღაც ხორციელდება ლიბანის მაშინდელი პრეზიდენტისა და იორდანიის მეფის თხოვნით და რომელიც თითქოს შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სახელმწიფო მოღვაწენი ყოველნაირი ხერხით ცდილობენ თავგზა აუბნინონ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ლიბანსა და იორდანიაში ამ ქვეყნების შეიარაღებული ინტერვენციის ნამდვილი მიზეზების შესახებ, თქვა ა. ა. გრომიკომ, მაგრამ ვერაფითარი ხერხით ვერ დამალავენ იმ სამარცხვინო ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა არაბი ხალხების წინააღმდეგ მოახდინეს სრულიად არაპროვოცირებული შეიარაღებული ინტერვენცია.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის შეიარაღებული შეჭრა ლიბანსა და იორდანიაში წარმოადგენს კოლონიზატორთა მოქმედების ტიპიურ მაგალითს, რომლის მთავარი მამოძრავებელი მოტივი მუდამ იყო მისწრაფება მიელოთ მოგება დამოკიდებული, დამონებული ხალხების ექსპლოატაციის გზით. ა. ა. გრომიკომ განიხილნა, რომ 1956-1957 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობის მონოპოლიებმა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მიიღეს 2,5 მილიარდი დოლარი მოგება. ნავთობი, ნავთობი და ერთხელ კიდევ ნავთობი — აი რა იზიდავს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მონოპოლიებს არაბულ აღმოსავლეთში, აი რა ასულდგმულებს ამ რაიონში მათს განუწყვეტელ სამხედრო ავანტიურებს.

ა. ა. გრომიკომ ამხილა აგრესორთა ვერსიები ეგრეთწოდებული „არაპირდაპირი აგრესიის შესახებ“, რომლებსაც ისინი ავრცელებენ არაბული აღმოსავლეთის ხალხთა წინააღმდეგ თავისი ზრახვების გასამართლებლად.

აღნიშნა რა, რომ მოსაზრებანი ახლო და შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოებისადმი ეკონომიური დახმარების საკითხებზე, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლაში ახლანდელ სესიაზე, შესაბამის განხილვას მოითხოვენ, გრომიკომ განაცხადა, რომ უწინარეს ყოვლისა უნდა გადაიჭრას მთავარი საკითხი — ლიბანდან და იორდანიიდან უცხოეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხი. სრულიად შეუწყნარებელია, ხაზგასმით აღნიშნა მან, რომ ლაპარაკი ეკონომიურ დახმარებაზე გამოიყენონ იმისათვის, რომ გენერალური ასამბლეის ყურადღება ჩამოაშორონ ამ მთავარი საკითხის გადაჭრას. აი ამიტომ საბჭოთა კავშირი უაღრესად მტკიცედ მოითხოვს, რომ ლიბანიდან და იორდანიიდან ამერიკისა და ინგლისის ჯარების გაყვანის საკითხი გადაიჭრას დაუყოვნებლივ და უწინარეს ყოვლისა.

დასასრულ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაიხსენა, რომ სსრ კავშირმა შეიტანა რეზოლუციის პროექტი ლიბანიდან ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებისა და იორდანიიდან დიდი ბრიტანეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ.

საბჭოთა მთავრობას, განაცხადა ა. ა. გრომიკომ, იმედი აქვს, რომ გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია ღირსეულად შეასრულებს ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის აღდგენის მის წინაშე დასმულ ამოცანას.

საბჭოთა კავშირი, ისე როგორც სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები, კვლავაც ყოველივეს გააკეთებენ, რაც საჭიროა, რათა თანმიმდევრულად დაიცვან მშვიდობის საქმე. ამ მტკიცე გადაწყვეტილებას, კერძოდ, ნათლად გამოხატავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის შეხვედრის შესახებ ამასწინანდელი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნიკე.

სწორედ ამით ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის დელეგაცია გენერალური ასამბლეის ამ სესიაზე. ამ სესიას, განაცხადა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, შეუძლია კარგი სამსახური გაუწიოს მშვიდობის საქმეს, თუ სესიის ყველა მონაწილე გაიმსჭვალება მისი მუშაობის შედეგისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით.

იორდანიის წარმომადგენლის მოკლე განცხადების შემდეგ გამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ფაკზი. რომელმაც მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილ რეზოლუციის პროექტს ლიბანისა და იორდანიის ტერიტორიიდან ამერიკისა და ინგლისის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ.

ამით დამთავრდა სესიის დილის სხდომა. შემდეგი სხდომა გაიმართება 14 აგვისტოს.

დაღესის პოლიტიკა კრიტიკის ქარცეცხლში

ვაშინგტონი, 13 აგვისტო (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სენატში კვლავ გაისმის მოთხოვნა, რომ გადაისინჯოს ამერიკის საგარეო პოლიტიკა და გადადგეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი. სენატორებს მორზეს, ფულბრაიტსა და მენსფილდს და სხვებს, რომლებმაც კრიტიკული განცხადებანი გააკეთეს ამის თაობაზე, გუშინ შეუერთდა სენატორი კლარკი. თავის გამოსვლაში სენატში კლარკმა განაცხადა: ვიზიარებ სენატის იმ წევრთა შეხედულებებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ ძირეულად გადაისინჯოს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა და, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთის მიმართ, და მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა პოსტი დატოვოსო. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, თქვა კლარკმა, გვიჩვენა, რომ იგი არის არა კეთილგონიერი და წინდახედული დიპლომატი, არამედ აზარტული მოთამაშე. მან გასცა მეტი დაპირებანი, რომლებიც ეხება შეერთებული შტატების სისხლს, კეთილდღეობასა და ღირსებას, ვიდრე ამაზე უოცნებია ამერიკის შეერთებული შტატების რომელიმე სხვა სახელმწიფო მდივანს.

ჩვენმა საგარეო პოლიტიკამ, ხაზგასმით აღნიშნა კლარკმა, კატასტროფის პირას მიგვიყვანა. მე ვშიშობ, რომ თუ რაც შეიძლება მალე არ ვთქვით უარი ასეთ მიდგომაზე, ჩვენმა საგარეო პოლიტიკამ შეიძლება ომამდე მიგვიყვანოს.

დასასრულ კლარკმა იმედი გამოთქვა, რომ „ადამიანები თეთრ სახლში ბოლოს და ბოლოს მიხვდებიან ჩვენი ქვეყნის გაწყობილებას, რომელიც ვეღარ შეურიგდება მთავრობის გაკოტრებულ საგარეო პოლიტიკას, და, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მალე ეყოლებათ ახალი სახელმწიფო მდივანი“.

სპორტის ქრონიკა ბიბლიოთეკა

სურათზე: თურქმენეთისა და საქართველოს ფრენბურთელ გოგონათა გუნდების შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ფ. არობელიძისა.

მოსწავლეთა V სპარტაკიადა

მოსწავლეთა დიდი ზეიმის — V სპარტაკიადის საზეიმო გახსნამდე ჯერ კიდევ ორი დღეა, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სასპორტო ბაზებზე შეუპოვარი ბრძოლები არ ცხრება. ზოგან მიმდინარეობს წინასწარი შეხვედრები, ზოგ ადგილებში იმართება დასკვნითი შეჯიბრება. ამ ასპარეზობაში მოსწავლე გოგონები და ჭაბუკები კარგ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას აჩვენებენ.

13 და 14 აგვისტოს მატჩებმა ფეხბურთში დიდი ინტერესი გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ 13 აგვისტოს 8 შეხვედრიდან 5 ფრედ დამთავრდა. ეს მატჩებია: „შრომითი რეზერვები“ — ლატვია (1:1), სომხეთი — უაზბეთი (4:4), საქართველო — გზათა სამინისტროს გუნდი (0:0), ლიტვა—ყირგიზეთი (1:1), აზერბაიჯანი—თურქმენეთი (1:1). დანარჩენ შეხვედრებში რსფსრ-ს გუნდმა მოუგო მოლდავეთს 2:1, უზბეკეთმა — ესტონეთს 4:0, უკრაინამ — ტაჯიკეთს 7:0.

წინასწარი შეხვედრების მეოთხე დღის შეჯიბრებაში საქართველოს ჭაბუკმა კალათბურთელებმა დაამარცხეს ლენინგრადის სპორტსმენთა კოლექტივი 79:46 და კვლავ დაუმარცხებლად იბრძვიან. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ აგრეთვე ესტონეთისა და უკრაინის გუნდები, რომლებმაც 13 აგვისტოს დაამარცხეს გზათა სამინისტროსა და ბელორუსიის გუნდები 59:39, 49:40. საქართველოს გოგონათა გუნდმა მოუგო ბელორუსიის კალათბურთელებს 58:40.

გუშინდელი დღის პირველი ნახევრის შეხვედრები კალათბურთში დამთავრდა ასეთი შედეგებით: გოგონები — უზბეკეთი — ესტონეთი 29:40, თურქმენეთი — საქართველო 29:61, უაზბეთი — ლიტვა 42:43, ყირგიზეთი — მოსკოვი 48:30, ტაჯიკეთი — ლატვია 30:53; ჭაბუკები — ყირგიზეთი — გზათა სამინისტროს გუნდი 87:42, ტაჯიკეთი — ლენინგრადი 47:67.

დასასრულს უახლოვდება ჩოგბურთელთა გუნდური ასპარეზობა. გუშინ გაიმართა მორიგი მატჩები. მოსკოველ გოგონათა გუნდმა ანგარიშით 7:0 დაამარცხა ლატვიის ჩოგბურთელები. ესტონეთისა და საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივების შეხვედრის შედეგია 5:2.

ორი დღეა მიმდინარეობს მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრება. გუშინდელ მატჩებში გამარჯვებულები გამოვიდნენ უკრაინის, გზათა სამინისტროს, ლიტვის, მოსკოვისა და ლენინგრადის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდები.

გუშინ გაიმართა აგრეთვე წყალბურთელთა და ფრენბურთელთა შეხვედრები. ფრენბურთში აზერბაიჯანის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდებმა დაამარცხეს სომხეთისა და ტაჯიკეთის სპორტსმენთა კოლექტივები 3:0, 3:1. ლენინგრადელ ჭაბუკთა გუნდმა მოუგო თურქმენეთის ფრენბურთელებს 3:2.

მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული სპორტული თამაშები გრძელდება.

ახალი მსოფლიო რეკორდები

როგორც ვიუწყებოდით, მინსკში საბჭოთა სპორტი საზოგადოება „სპარტაკის“ სპარტაკიადაზე სპორტის ოსტატმა გ. ლობჟანიძემ (რსფსრ, მსუბუქი წონა) ორი ხელით შტანგის აწევაში აჩვენა 130 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მაგრამ ერთი დღის შემდეგ კიევში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სპარტაკიადაზე ეს შედეგი ნახევარი კილოგრამით გაუმჯობესა ჩელიაბინსკელმა ძალოსანმა ფ. ნიკიტინმა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

შეიარაღებული ძალთა სპარტაკიადის მონაწილე შტანგისტებმა მსოფლიო რეკორდების ცხრილში კიდევ ახალი ადგილები შეიტანეს. ლენინგრადელმა ფ. ბოგდანოვსკიმ ორი ხელით აწევა 139 კილოგრამი. ეს შედეგიც ახალი მსოფლიო რეკორდია.

საქართველოს თასის გათამაშება

მიმდინარე სასპორტო სეზონში საქართველოს თასის გათამაშებაში გარდამავალი ჯილდოს მოსაპოვებლად ფეხბურთელთა 23 უძლიერესი კოლექტივი იბრძვის. დღეისათვის ჩატარებულია რამდენიმე მატჩი, გამოვლინდა მეოთხედფინალისა და ნახევარფინალის რამდენიმე მონაწილე.

ნახევარფინალში გავიდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი. მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ლანჩხუთის „კოლმეურნემ“, ჭიათურის „მაღაროელმა“ და კასპის რაიონის „განთიადის“ ფეხბურთელთა კოლექტივებმა.

ტულის ტრეკზე

ტულაში რამდენიმე დღეს გრძელდება შეჯიბრება ველორბოლაში ტრეკზე. ერთმანეთის პირველობას ეცილებიან მოსკოვისა და ლენინგრადის, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების ულიერესი სპორტსმენები.

ამ შეჯიბრებაში მაღალი სპორტული შედეგები აჩვენეს მოსკოველმა, ლენინგრადელმა და ტულელმა ველოსიპედისტებმა, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს.

სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ ვ. ლენოვი (ტულა), ს. მოსკვინი (ლენინგრადი) და ზ. დენკინა (მოსკოვი).

რედაქტორი პ. რატიანი.

მონადირეთა საყურადღებოდ!

ნადირობის წესები და ვადები 1958-1959 წლების სეზონში

ნადირობა ნებადართულია

მწყერზე, ჭოვილოზე (დუპელი), ჭყიანმპოზე (ბეკასი), კრონშნეპზე, ქედანზე, კლინტუხზე, გარეულ მტრედზე, გვრიტზე, მელოტაზე, ღალღაზე, ჭაობის ქათამზე და ყველა სანადირო ცხოველზე, რომლებიც დასახელებული არ არიან ამ განცხადებაში, გარდა მგალობელი ფრინველებისა, კოდალებისა და გუგულისა — 15 აგვისტოდან 15 თებერვლამდე.

კავკასიურ როჭოსა და კავკასიურ შურთხზე — 15 აგვისტოდან 1 დეკემბრამდე.

ტყის ქათამზე — 15 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე.

წყალში მცურავ (ბატი, იხვი და სხვა) და ველის ფრინველზე (სავთი, სარსაკი) — 1 დეკემბრიდან 15 თებერვლამდე.

მამალ შველზე, მამალ ჯიხვზე და არჩზე — 15 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს განსაკუთრებული ნებართვებით, რომლებიც ეძლევა მონადირეთა საზოგადოებებს.

კაკაბზე 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე.

წავზე, მაჩვსა და ტყავჭრელაზე — 1 ნოემბრიდან 15 მარტამდე.

კვერნაზე — 1 დეკემბრიდან 1 მარტამდე.

ყველა მავნე მტაცებელ ნადირზე (მგელი, ფოცხვერი, აფთარი, დათვი, ტურა, გარეული კატა, მელა) და მავნე მტაცებელ ფრინველზე მთელი წლით რაოდენობის შეუზღუდავად.

ერთ ნადირობაზე, მიუხედავად მისი ხანგრძლივობისა, ნებადართულია ერთმა მონადირემ მოიპოვოს: ყველა სახის წყალში მცურავი ფრინველი არაუმეტეს 10 ცალისა ერთად აღებული, სარსარაკი არაუმეტეს 10 ცალისა, ტყის ქათამი არაუმეტეს 10 ცალისა, სავთი არაუმეტეს 2 ცალისა, მწყერი არა უმეტეს 30 ცალისა და კაკაბი არაუმეტეს 5 ცალისა.

ნადირობა აკრძალულია

ჯეირანზე, ნიამორზე, ნუტრიაზე, ამერიკულ წაულაზე, დედოფალაზე, ალტაისა და ტელეუტის ციყვებზე, ღორჯზე, თეთრ ყანჩაზე, გედზე, თეთრ დ. შავ ყარყატზე — განუსაზღვრელი ვადით.

ხოხობსა და გნოლზე 1960 წლის 1 ნოემბრამდე.

კურდღელსა და გარეულ ღორზე — 1960 წლის 1 ოქტომბრამდე.

კაკაბზე — გარეუბნის, მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის, ქუთაისის, ტყიბულისა და თერჯოლის რაიონებში 1958 წლის სანადირო სეზონში.

ყოველგვარი ნადირობა აკრძალულია

1. სახელმწიფო ნაკრძალების: **ლაგოდეხის, საგურამოს, რიწის, აჯამეთის, ვაშლოვანის, გუმისთის, ბიჭვინთის, ბაწარასა და სათაფლიას ტერიტორიაზე.** გარდაბნის სახელმწიფო სატყეო-სანადირო მეურნეობაში, „ყორუღის“ სახელმწიფო საჯიშე მეურნეობაში (საგარეჯოს რაიონი), საქართველოს მონადირეთა კავშირის სანადირო მეურნეობა „მაგარ კუთხეში“ (მარნეულის რაიონი) და ორი კილომეტრის ზონაში ამ მეურნეობების გარშემო.

2. ყველა სანადირო აღკვეთილის ტერიტორიებზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებებით.

მიწერილი სანადირო მეურნეობების ტერიტორიებზე სანადიროდ დაიშვებიან მხოლოდ იმ სამონადირეო საზოგადოებათა წევრები, რომლებზეც მიწერილია ეს მეურნეობა, სხვა მონადირეები კი ეხოლოდ მეურნეობის მფლობელის ნებართვით.

დანარჩენ ადგილებში ნადირობა ნებადართულია ყველა მონადირისათვის სათანადო წესებისა და ვადების დაცვით.

აკრძალულია ყოველგვარი ნანადირევი პროდუქციის გაყიდვა ხელზე. ნანადირევის შესყიდვას და გასაღებას აწარმოებენ მონადირეთა საზოგადოებების მაღაზიები და დამამზადებელი ორგანიზაციები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო.

ᲓᲦᲔᲡ

ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — ბალი სავოიაში (ოდესის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი, დასაწყისი 8 ს. 30 წ.).

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოქტომბერი, ისანი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი), პლანეტა, ნოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი — საქმე [illegible] არ დამთავრებულა, ამირანი (საზამთრო), სპარტაკი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), გორკის სახელობის ცენტრალური კულტურის სახლი (საზაფხულო), კომენარების ბაღი — როცა გრძნობა იძინებს, ვებს გონებაზე, ფილარმონიის ბაღი, კოლხიდა (საზაფხულო) — მბიარული ახალგაზრდობა, თბილისი, კოლხიდა (საზამთ